საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 069 (12 444) | 24 მარტი ორშაბათი 2008 წელი | ფასი 50 თეთრი



## მებრძოლი სული კოკაის, უმაღლესის საგზური ტოჩინოშინს

სუმო. მარტის ბაშო »» 11

## ბაიერნი ისევ მიჭქრის, იტალია თავიდან იწყებს

სერია A
და ბუნდესლიგა »» 6-7



## მაკარიძის ამბავი დადასტურდა



ყველაფერი ბელფასტში გაირკვევა » 3

## ტოპი ქეცბაიას ელოდება



სანაკრებო ამბები » 3

# პრემიერა პრიმერაში

## შვიდი წლის შემდეგ: ქართველმა ესპანური ელიტა მოსინჯა



შოთა არველაძე ვილიარეალთან მატჩისწინა ვარჯიშზე

ქართული ლეგიონის უქმეები და ინტერვიუ შოთა არველაძესთან »» 4-5

# დიდი პრემიერბრძოლები

## ჩელსი ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებს




## მანჩესტერმა ლივერპულს გადაუარა






## ვალენსიამ ხუთ დღეში ორი გრანდი მოინელა

# რეალი განადგურებულია, ბარსამ გაილაღა

პრემიერლიგა და
პრიმერა დივიზიონი » 8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XVIII ტური

# ტალახნალესბულნი

## საიდან მოიგონე აფსაიტი, ბიჭო?!

**მგლები-ლოკომოტივი**

**0:0**

22.03. ზუგდიდი. ცენტრალური
2500 მაყურებელი

მგლები: ივარდავა - ზ. ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე - დ. ქირია (73. ქომეთიანი), ვართაგავა, ხოხონიშვილი, წურწუმია (62. ჯანაშია) - კრასოვსკი, ჭკადუა

*სათადარიგოები: ქარდავა, გ. ქირია, ხუხია, გ. ექონია, კუჭუხიძე*

ლოკომოტივი: ალავიძე - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა - გულორდავა (74. გილაური), ბუდალაშვილი, ბარბაქაძე (87. ლ. ჩაგელიშვილი), ქუცურუა, დარსელია - დ. ჩაგელიშვილი (62. ალექსიძე)

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, გ. კვახაძე, წულაძე, კაჭახიძე*

გაფრთხილება: გუშარაშვილი (42), ხოხონიშვილი (52)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**3.** წურწუმია ვარდნაში ურტყამს, თუმცა აცილებს.

**9.** კაკაბაძის საჯარიმო დარტყმა ოდნავ სცდება მიზანს.

**14.** ქირიამ პენალტის ნიშნულთან ახლო მდგომმა გაიტანა გოლი, თუმცა ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა.

**17.** ქუცურუას დარტყმა მეკარემ აილო.

**38.** ქუცურუამ საჯარიმოში კარგად დაამუშავა ბურთი, მაგრამ ბოლო წამს მცველმა აღარ დაანება დარტყმა და თავისიანები გადაარჩინა.

**40.** წურწუმიამ კრასოვსკი გაიყვანა პირისპირ, მაგრამ მან პირდაპირ ხელებში მისცა მეკარეს.

**52.** დარასელიას მიერ შესრულებული საჯარიმო ოდნავ ასცდა მარცხენა ძელს.

**54.** ხოხონიშილმა ჩამოიცილა ორი მეურვე და საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა - ბურთი მცირედით ასცდა კარს.

**77.** ბარბაქაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან ძლიერად დაარტყა - ივარდავამ იყოჩალა.

სატურნირო ცხრილის შუაში მოკალათებულმა "მგლებმა" "ფეარპლეის" პრინციპი დაიცვა და ბრძოლა გაუმართა გასავარდნ ზონაში მყოფ თბილისის "ლოკომოტივს", რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა ქულები და არც მალავდა, რომ მოსაგებად სტუმრობდა ზუგდიდს. სანამ თამაშის პერიპეტიებზე გეტყოდეთ, მანამდე ორიოდე სიტყვას მატჩის ბოლოზე მოგახსენებთ, რათა მკითხველისთვის ნათელი შეიქმნას, რა ხდებოდა მინდორზე. **ფანიაშვილის** საფინალოს შემდეგ მოედნიდან გამავალი 22 ფეხბურთელიდან ხუთს თუ შეატყობდი რა ნომერი მაისური ეცვა, დანარჩენები თავიდან-ფეხებამდე ტალახიანები იყვნენ. ასეთ "მოედანს" მასპინძლებმა უფრო მალე აუღეს ალღო და ნახევარმცველთა კარგი თამაშით ინიციატივასაც დაეუფლენ. ჯერ **წურწუმიას** შეეძლო გატანა მერე კი **კაკაბაძეს**, თუმცა ორივეს დარტყმული არაზუსტი გამოდგა. უპირატესობა გოლში მაინც გამოისახა - პენალტის ნიშნულთან მდგომი **დავით ქირია** ჩამოწოდებულ ბურთს ეუფლება და ზუსტად ურტყამს კარში. ფანიაშვილი ცენტრისკენ იშვერს ხელს, მაგრამ საქმეში გვერდითი არბიტრი ერევა და თამაშგარეს აჩვენებს. ამ ეპიზოდმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და ბევრი ვერ გაერკვა, თუ რატომ ალნიშნა თამაშგარე გვერდითმა.

ამის შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და ქუცურუას ჯერი დადგა, რომელსაც ჯერ მეკარემ აუღო, შემდეგ კი დასარტყმელ პოზიციაზე გასულს მცველი ჩაუწვა. მე-40 წუთზე უკვე **კრასოვსკის** მართებდა გატანა - იგი პირისპირ გაიყვანეს და გვერდითაც ცარიელი პარტნიორები ჰყავდა, თუმცა იმდენი მოახერხა მეკარეს პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი.

მეორეს ტაიმის დასაწყისში სტუმართა დისპეტჩერი **დარასელია** გააქტიურდა და რამდენიმე კარგი დარტყმაც განახორციელა, თუმცა **ივარდავამ** გატანა არ დაანება. მომენტები ამის მერეც შეიქმნა, მაგრამ ხან მიზანს ვერ ასწორებდნენ დამრტყმელები, ხანაც მეკარეები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** "მძიმე მატჩი გამოვიდა და ძალზე მნიშვნელოვანი ქულა ავილეთ. მადლობა ბიჭებს რომ რთულ პირობებში, ასეთ მოედანზე მათ ეს შეძლეს. მომდევნო მატჩებში ვეცდებით, მოგებები შევძლოთ".

**ბესიკ შეროზია (მგლები):** "გაუგებარია, რატომ არ ჩაგვითვალეს გოლი მსაჯებმა. შეიძლება ითქვას, მათ ნამდვილად დაგვჩაგრეს. ასეთ მძიმე თამაშს, ასეთ მინდორზე სწორედ ერთი გოლი მოიგებდა. მინდა ბიჭებს მადლობა ვუთხრა თავდადებული თამაშისთვის".



პრესკონფერენციაზე ბესიკ შეროზიამ მსაჯის შეცდომებზე ისაუბრა

**მერაბ ბრძელიძე**
ზუგდიდიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 18 | 16 | 0 | 2 | 46:10 | 48 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 18 | 15 | 1 | 2 | 35:9 | 46 |
| 3. ზესტაფონი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:10 | 42 |
| 4. ამერი | 18 | 10 | 2 | 6 | 29:20 | 32 |
| 5. ოლიმპი | 18 | 9 | 4 | 5 | 17:12 | 31 |
| 6. ბორჯომი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:20 | 28 |
| 7. მესხეთი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:22 | 25 |
| 8. მგლები | 18 | 7 | 3 | 8 | 16:19 | 24 |
| 9. სიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:24 | 20 |
| 10. მერანი | 18 | 5 | 1 | 12 | 10:27 | 16 |
| 11. სპარტაკი | 18 | 4 | 4 | 10 | 8:20 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 18 | 3 | 4 | 11 | 10:25 | 13 |
| 13. ბათუმი | 18 | 2 | 3 | 13 | 8:33 | 9 |
| 14. დილა | 18 | 1 | 4 | 13 | 7:34 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 11 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი/ბათუმი) | 8 |

**XIX ტური**

| | |
|---|---|
| **29 მარტი, შაბათი** | |
| 15:00 | დილა-ლოკომოტივი |
| 15:00 | ოლიმპი-ზესტაფონი |
| 15:00 | ბორჯომი-ვიტ ჯორჯია |
| 15:00 | მერანი-ამერი |
| **30 მარტი, კვირა** | |
| 15:00 | სპარტაკი-ბათუმი |
| 15:00 | სიონი-მესხეთი |
| 15:00 | დინამო-მგლები |

# გიორგი და მათე-ბიჭი



მათე ვანაძემ ამჯერად დუბლი მიითვალა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**დინამო-ცხინვალი**

**2:1**

22.03. თბილისი. ეროვნული
300 მაყურებელი

1:0 ვანაძე (51. მერებაშვილის პასით), 2:0 ვანაძე (72. მერებაშვილის პასით), 2:1 ლონლაძე (87)

დინამო: ოვონო-შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, გველესიანი-ოდიკაძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი (90. ფირცხალავა)-ხუციშვილი (73. სპასოევიჩი)-ვანაძე.

*სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, ქანთარია, ნერგაძე*

ცხინვალი: ქვილითაია-ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი-ხიდეშელი (78. ვ. კვარაცხელია), ძარია, თარხნიშვილი (63. დათუნაშვილი), ტყეშელაშვილი (54. თექთუმანიძე), გოგოხია-მ. ლონლაძე.

*სათადარიგოები: კოდალაევი, კუპრეიშვილი, ხიზანიშვილი, მედოევი*

გაფრთხილება: ბახტურიძე (74), გოგოხია (76), შ. კაშია (88)

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი).

**6.** ნუკრი გოგოხიას საჯარიმოდან დარტყმული ბურთის მოგერიება ოვონოს არ გასჭირვებია.

**21.** გიორგი მერებაშვილის ჩინებულ ფლანგურ რეიდს ზუსტი გადაცემა მოჰყვა, მაგრამ მიხეილ ხუციშვილის თავური მიზანს სულ ოდნავ ასცდა.

**29.** ხუციშვილი შორი მანძილიდან ცდილობდა გოლის გატანას - "ცხინვალი" ქვილითაიამ იხსნა.

**30.** ლევან ხმალაძე ზედიზედ ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ორივეჯერ მისი თავური დარტყმები მიზანს ასცდა.

**39.** ოდიკაძე-ხმალაძე-ვანაძის ლამაზი კომბინაცია უშედეგოდ დასრულდა.

**39.** ვანაძის თავური ქვილითაიამ მოიგერია.

**40.** მერებაშვილი მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას - სტუმრები ისევ ქვილითაიამ გადაარჩინა.

**49.** ხუციშვილის დარტყმას ქვილითაიამ საიმედო თამაშით უპასუხა.

**51.** 1:0 - მერებაშვილის აქტიურობას ვანაძის ეფექტური გოლი მოჰყვა.

**62.** ვანაძე ტექნიკური დარტყმით აპირებდა "დუბლის" შესრულებას - ბურთი მიზანს ასცდა.

**70.** ოდიკაძის შორეული დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**72.** მერებაშვილის ეფექტური თამაში და კვლავ ქვილითაიამ იმარჯვა.

**72.** 2:0 - მერებაშვილის კუთხურს ვანაძის ჩინებული თავური დარტყმა მოჰყვა - ქვილითაია უძლური იყო.

**73.** ოდიკაძის ჩინებული პასის მერე გურამ კაშიამ ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი მიზანს.

**80.** კვარაცხელია უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი არაზუსტად დაარტყა.

**82.** ვანაძის პასით მერებაშვილს გოლის გატანა მართებდა.

**84.** მერებაშვილს ისევ არ გაუმართლა - "ცხინვალის" კარი ამჯერად ძელმა იხსნა.

87. 2:1 მამუკა ლონლაძე კარგად გაერკვა "დინამოს" მცველთა შეცდომით და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

ფეხბურთში უპირატესობა გატანილ გოლებში გამოიხატება და არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ნამიერი მოდუნებით შესაძლოა ეს უპირატესობაც გაფლანგო. აი, კინალამ ასე დაემართა "დინამოს" - 85 წუთის განმავლობაში უდიდეს ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას რომ ფლობდა. ლოგიკურად მატჩი დიდი ანგარიშით რომ უნდა მოეგო, მხოლოდ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა. ბევრი, ძალიან ბევრი მომენტი გააცუდეს მასპინძლებმა. ამასთან ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა "ცხინვალის" ახალგაზრდა მეკარემ **მაქსიმე ქვილითაიამაც**, სულ მცირე, სამიოთხჯერ რომ იხსნა საკუთარი გუნდი.

სტენოგრამიდან მიხვდებით, თუ რამხელა უპირატესობა ჰქონდა "დინამოს". პირველი ტაიმი ხომ სულაც "ცალკარას" წააგავდა - მასპინძლები მთელი გუნდით უტევდნენ, სტუმრები კი ასევე მთელი გუნდით თავს იცავდნენ. გამონაკლისი მხოლოდ ერთადერთი შემტევი **მამუკა ლონლაძე** იყო, ვისთანაც ბურთი, ფაქტობრივად, არც მიდიოდა.

მოკლედ, "ცხინვალმა" პირველი ტაიმი, როგორც იტყვიან, გმირულად გაძლო. ეს კი უპირველესად საიმედოდ მოთამაშე ქვილითაიას დამსახურებაც იყო, თუმცა დინამოელებიც ხშირად სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში.

მეორე ტაიმიც "დინამოს" გამუდმებული იერიშებით დაიწყო და, ბოლოსდაბოლოს, გოლიც ვიხილეთ. თანაც, სამართლიანიც იყო, რომ ეს გოლი მატჩის უდავოდ, ორმა გამორჩეულმა მოთამაშემ შექმნა - **გიორგი მერებაშვილმა** მეტოქეს ბურთი "მოპარა" და მისი ზუსტი პასის მერე **მათე ვანაძემ** ლამაზი და, რაც მთავარია, ზუსტი დარტყმით ქვილითაია უშანსოდ დატოვა. "დინამოს" ახალგაზრდა ცენტრფორვარდმა ყველაფერი მართლაც, ოსტატურად შეასრულა - საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში გაგზავნა!

"დინამო" არც ამის მერე შეჩერებულა და იმავე ვანაძესა და მერებაშვილს რამდენიმე კარგი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ქვილითაია კვლავაც უშეცდომოდ თამაშობდა. თუმცა მერებაშვილის კუთხურის მერე ვანაძემ ლამაზი და ზუსტი "თავური" რომ შეასრულა, სტუმართა მეკარემ ველარაფერი გააწყო. "დუბლის" ავტორს მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა. აი, გიორგი მერებაშვილი კი ნამდვილად იმსახურებდა ერთ გოლს და ბომბარდირთა სიაში დაწინაურებასაც, მაგრამ "დინამოს" ლიდერს დამაგვირგვინებელ ფაზაში ფატალურად არ უმართლებდა. წესითა და რიგით, მასპინძლებს უშფოთველად უნდა მიეყვანათ საქმე დასასრულისკენ, რომ არა ერთდროულად ორი ფაქტორი. პირველი და მთავარი, ალბათ, ის არის, რომ "ცხინვალთან" მატჩმა ნათლად დაგვანახა, თუ რას ნიშნავს "დინამოსთვის" **მილოშ კრშკო** (შეგახსენებთ, რომ სლოვაკი მცველი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა ამ შეხვედრას). მოკლედ, მატჩის ბოლო ათმა წუთმა გვარიანად ანერვიულა **დუშან უპრინი** - კრშკოს გარეშე მოთამაშე "დინამოს" დაცვამ ორი, ერთი-მეორეზე უხეში შეცდომა დაუშვა, რომელთაგანაც სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ იხეირეს. თანაც, ისე, როგორც ამასწინანდელ სათასო მატჩში, თავი კვლავაც მამუკა ლონლაძემ გამოიჩინა. აი, მეორე ფაქტორი კი ახალგაზრდა ფორვარდის **ვახტანგ კვარაცხელიას** მოედანზე შემოსვლა იყო. **კობა ჟორჟიკაშვილს** ჩვენგან რა ესწავლება, მაგრამ კვარაცხელიას გამოჩენას სტუმართა გუნდის გამოცოცხლება რომ მოჰყვა, ფაქტია. საერთოდაც, "ცხინვალმა" ნამდვილად არ დატოვა ურიგო შთაბეჭდილება - ახალგაზრდა ბიჭები ჟინითაც თამაშობენ და, რაც მთავარია, მწვრთნელის ხელიც ეტყობათ.

მატჩის დასრულების მერე მათე ვანაძეს ჩინებული ამბავი ელოდა - საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევა!

**გია ტუხაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა გელაშვილი

მიმართულების რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი)
გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი)

განყოფილების რედაქტორები
პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი)
შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი)

კონცეფცია და დიზაინი
ნოდარ დუგლაძე

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი
მიხეილ ჯაში

გავრცელების სამსახური
ბაქარ გაჩეჩილაძე
დავით მაისურაძე
გივი ვეშაპიძე

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

მისამართი:
0159
თბილისი
ახმეტელის 10ა
(დიღომი, ახალი კინოსტუდია, პირველი სართული)

ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
ფაქსი: +995. 32 46 32 62.

ელფოსტა: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XVIII ტური

# მშრალი და წვიმიანი

**მესხეთი-ოლიმპი**

**0:0**

22.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
250 მაყურებელი

მესხეთი: სომხიშვილი - თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, ლეკიშვილი - რაქვიაშვილი (71. მ. თაყაძე), კოშკაძე, კ. ხანიშვილი, გვირჯიშვილი - ინასარიძე (80. გ. სუდაძე), კიკნაძე (89. მუშკუდიანი).

სათადარიგოები: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, ი. თაყაძე, თელიაშვილი.

ოლიმპი: შეყრილაძე - მახვილაძე, სილაგაძე, ხუბუა - კახელიშვილი (80. სტეფანიშვილი), გაბედავა, ჯოჯუა, დევდარიანი, ორბელაძე, გენაძე - იმედაძე (70. ომელიანოვი).

სათადარიგოები: კალანდაძე, მგელაძე, სეფისკვერაძე.

გაფრთხილება: ხანიშვილი (45), სილაგაძე (67), ლონლაძე (68), გენაძე (80), ლ. მერებაშვილი (86), ომელიანოვი (90)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**4.** სილაგაძემ მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და თავით შეეცადა ანგარიშის გახსნას, მაგრამ სუსტად დაარტყა და მეკარე სომხიშვილს ალება არ გასჭირვებია.

**10.** რაქვიაშვილმა საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად და მოულოდნელად დაარტყა. ბურთი მცირე მანძილით ასცდა რუსთაველთა კარს.

**13.** გაბედავას შესრულებული საჯარიმო დარტყა მიზანს ასცდა.

**27.** კახელიშვილმა ცენტრში კარგად ითამაშა, ჩინებული პასით ორბელაძე პირისპირ გაყავდა მეკარესთან, მაგრამ ორბელაძეს მცველი წამოეწია და ვითარება გამნუხტა.

**57.** გვირჯიშვილმა ფლანგიდან კარგად მოძებნა საჯარიმოში მყოფი ინასარიძე. მეკარე და მცველები შეცდნენ, მაგრამ ინასარიძემ ცარიელ კარში ვერ შეძლო გატანა.

**58.** კოშკაძემ ჩინებულად დაარტყა, შეყრილაძემ ითამაშა საიმედოდ.

**88.** ხიფათი მასპინძელთა საჯარიმოში, მაგრამ სომხიშვილმა კარი დატოვა, ბურთი ომელიანოვს ფეხიდან ააცალა. მეკარის მოგერიებული ბურთი სტეფანიშვილმა კარში დაარტყა, მაგრამ მერებაშვილმა ბურთი კარის ხაზიდან ფეხით გამოიტანა.

ამ გუნდების პირველი მატჩი, რუსთავშიც ფრედ დასრულდა. შეხვედრა მშრალი, უგოლო გახლდათ, მაგრამ წვილის თანხლებით ჩაიარა და ასე ამიტომაც დავასათაურეთ.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, პირველი და მეორე ტაიმი ერთმანეთს ჰგავდა. ორივეში თითო საგოლე მომენტი ჰქონდათ მეტოქეებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა იმატა. იყო არაერთი ნახევარმომენტიც. თუმცა უპირატსობა გარდამავალი იყო და ვერც ერთ გუნდზე ვერ იტყოდი, რომ მოგება ეკუთვნოდა.

**ანატოლი პისკოვეცის** "ოლიმპთან" გამოთხოვების შემდეგ, რუსთაველთა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბორჯომში გამართული შეხვედრა **ხვიჩა ქასრაშვილისთვის** სადებიუტო გახლდათ. ქასრაშვილმა "ოლიმპის" განვრთნა ფრითა და ქულით დაიწყო. საგულისხმოა ისიც, რომ მასპინძელთა კლასიკური (4-4-2) განლაგებისგან განსხვავებით, რუსთაველებმა უჩვეულო 3-6-1 სქემით ითამაშეს.

**მატჩის შემდეგ**

**ხვიჩა ქასრაშვილი (ოლიმპი):** "თანაბარი თამაში იყო და ფრეც ლოგიკურია. ვფიქრობ ჩემს გუნდში ბევრი რამაა შესაცვლელი, ტაქტიკა, სტრატეგია, ფეხბურთელებს სეზონის ბოლომდე ვერ შევცვლით. ამ გუნდში ჯერ მხოლოდ 2 ვარჯიში ჩავატარე და ეტაპობრივად გარკვეულ ცვლილებებსაც განვახორციელებ. ჩვენი მიზანი მეოთხე ადგილზე გასვლაა და ვფიქრობ, შევძლებთ კიდეც. ამ მიზნისთვის ბრძოლაში კონკურენტებად "ამერსა" და "ბორჯომს" მივიჩნევ".

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** "ხვიჩას "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტს ვულოცავ. "მესხეთთან" სტუმრად თამაში ყველა გუნდს უჭირს და აქედან გამომდინარე, სტუმრებისთვის ფრე შედეგია და მონაგარი.

რაც შეეხება თამაშს, საგოლე მომენტები თანაბრად გვქონდა, მაგრამ ვერცერთმა გამოვიყენეთ და ლოგიკურ ფრეს დავჯერდით".

**ნიკა გვათუა**
ბორჯომიდან

# გია გეგუჩაძე გაგრიდან წავიდა

## მწვრთნელობა მომენატრა



გია გეგუჩაძე

პირველი ლიგის ერთ-ერთი მოწინავე გუნდი "გაგრა" სპორტული დირექტორის გარეშე დარჩა - კლუბი **გია გეგუჩაძემ** დატოვა.

თბილისის "დინამოს" ყოფილი მწვრთნელი "გაგრაში" კლუბის ხელმძღვანელობის კონსულტანტი იყო. მისი რჩევით "გაგრამ" აქცენტი ახალგაზრდებზე აიღო და ასეთი გზით იბრძვის უმაღლეს ლიგაში აღზევებისთვის.

გეგუჩაძის დახმარებით "გაგრამ" საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ბელგიური ეერსტეკლასეს "დენდერთან", რომლის მწვრთნელი **იოჰან ბოსკამპია**. როცა ეს ჰოლანდიელი სპეციალისტი საქართველოს ეროვნულ გუნდს და თბილისის "დინამოს" თავკაცობდა, მისი თანაშემწე გეგუჩაძე იყო.

რა არის გეგუჩაძის "გაგრიდან" წასვლის მიზეზი?

- მე და "გაგრის" პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძეს ერთობლივი გეგმები, ერთი კურსი გვქონდა. ამ დროისთვის "გაგრა" უკვე გამართული მექანიზმია და იქიდან წამოსვლა გადავწყვიტე. მსურს ისევ მწვრთნელობას დავუბრუნდე. "გაგარასთან" და მის პრეზიდენტთან კი კვლავაც ნორმალური ურთიერთობა მექნება - გვითხრა გეგუჩაძემ.

**დავით თავართქილაძე**

ნაკრებები ამხანაგურებისთვის შეიკრიბნენ

# ახალგაზრდები თბილისში, დიდები ბელფასტში

## ბრიტანეთში ქეცბაიასაც ელოდებიან

ხვალ და ზეგ ჩვენს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებს მორიგი ამხანაგური მატჩები აქვთ. 21-წლამდელები ლატვიას უმასპინძლებენ, ეროვნული გუნდი კი ზეგ, ჩრდილოეთ ირლანდიასთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ახალგაზრდული ნაკრები ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" გუშინ შეიკრიბა. **პეტარ სეგრტმა** გუნდს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა. დღეს კი ნაკრები 16 საათზე "ამერის" სტადიონზე ივარჯიშებს.

რაც შეეხება ეროვნულს, **კლაუს ტოპმიოლერი** ნაკრებს დღეს ბელფასტში შეკრებს და პირველ ვარჯიშსაც ჩაატარებს.



თემურ ქეცბაია

*"ჩვენი გუნდი 24 მარტს ბელფასტში, სასტუმრო "ევროპაში" შეიკრიბება და ორშაბათ საღამოს პირველ ვარჯიშს ჩაატარებს. კობიაშვილის ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით",* - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

არაა გამორიცხული, ბელფასტში თემურ ქეცბაიაც ჩავიდეს ნოდარ ახალკაცთან დასალაპარაკებლად. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ აპრილში უკვე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა წავა კვიპროსში ქეცბაიასთან მოსალაპარაკებლად.

**დავით ცაბაძე**

# მაკარიძის საკითხი ბელფასტში გაირკვევა

## ნაკრების მეკარეს კი უკვე ზესტაფონის ფორმა აცვია



გიორგი მაკარიძე

**გიორგი მაკარიძის** "ზესტაფონში" გადასვლა-არგადასვლის საკითხი ბელფასტში უნდა გაირკვეს, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიას ამხანაგურად გაეჯიბრება. ეს იმერული კლუბის წარმომადგენლებმა აღნიშნეს "ლელოსთან" საუბარში. სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ფეხბურთის ფედერაცია გამონაკლისს დაუშვებს და მაკარიძეს "დინამოდან" "ზესტაფონში" გადასვლის ნებართვას ამ სეზონშივე მისცემს. ეროვნული ნაკრების მეკარე "დინამოს" განაცხადშიც კი ვერ ხვდება, ნაკრებში კი კვლავ გამოიძახეს.

როგორც ჩანს, საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია და ბელფასტში ეს ყველაფერი ოფიციალურად მოხდება, რადგან მეკარე ქუჩაში "ზესტაფონის" სპორტული კოსტიუმით შევამჩნიეთ. აბა სხვა რა მიზეზით უნდა ეცვას "დინამოს" ფეხბურთელს სხვა კლუბის კოსტიუმი?

**ლევან ჯანეზაშვილი**

21-წლამდელთა ნაკრები. ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# დღესაც მთხოვენ, რუსებს სტუმრად მოუგეო

**ხვალ, 25 მარტს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლატვიას ამხანაგურ მატჩში უმასპინძლებს. საამმატჩოდ გამოძახებულთა ჩამონათვალი 21-წლამდელთა თავკაცმა პეტარ სეგრტმა უკვე დაასახელა. მის სიაში რამდენიმე ახალი გვარიცაა. საერთოდ კი, საინტერესოა, თუ რას ფიქრობს სეგრტი ამ მატჩსა და ზოგადად ნაკრების მომავალზე.**

- "ამერი" - "მალაროელის" სათასო მატჩს დავესწარი და ძალიან მომეწონა სტუმართა მე-7 ნომერი ფორვარდი. ამიტომაცაა. რომ ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოვიძახე. "მგლები"-"ზესტაფონის" შეხვედრასაც დავესწარი და ზუგდიდელთა ფორვარდმა ზვიად კუტალიამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. შარშან, ლუქსემბურგთან მატჩისთვის გიორგი ივანიშვილიც გამოვიძახე, მაგრამ პრობლემათა გამო, ის მაშინ გამოგვაკლდა. "ციურიხის" ნახევარმცველი ახლა ჩემს სიაშია და საქმეში მასაც ვნახავ.

**- ლატვიასთან მატჩს რა კონტექსტში განიხილავთ?**

- უპირველეს ყოვლისა ახალი ფეხბურთელების საქმეში ნახვა მაინტერესებს. გასული წლის მიწურულს, ლუქსემბურგთან მატჩისას ფეხბურთელებს ინდივიდუალური დავალებები მივეცი, მაინტერესებს, რამდენად შეასრულეს ჩემი დავალება. ეს ამხანაგური მატჩია და გარკვეული ექსპერიმენტებიც იქნება. შემოდგომისთვის ვემზადებით.

**- ანუ რუსეთთან მატჩისთვის?**

- დიახ. შემოდგომაზე რუსეთთან გადამწყვეტი მატჩი გვაქვს და ამ შეხვედრაში ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებიც ჩემს დავალებებს ზუსტად შეასრულებენ, საკუთარ თავზე იმუშავებენ, რათა უკეთ გამოავლინონ შესაძლებლობები.

რუსეთთან თამაში მეტოქისთვისაც გადამწყვეტია. მინდა, იქ ჩემი გუნდით ჩავიდე და ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია წარმოვაჩინო. ეს ის საფეხბურთო ფილოსოფიაა, რომლითაც რუსეთი და ლუქსემბურგი დავამარცხეთ.

ჩვენ ეროვნულ ნაკრებს დღემდე 11 ფეხბურთელი მივეცით. ეს ერთი გუნდია და მათ შემცვლელებს მოძიება სჭირდება. რეგიონებში დავდივარ, თამაშებს ვესწრები და ვინც მომეწონება მათ საქმეშიც ვნახავ. ყველა ფეხბურთელს ერთს მოვთხოვ, მათთვის უმთავრესი ნაკრები უნდა იყოს.

**- ცოტა ხნის წინათ გიორგი განუგრავა ჩეხურ "მლადაში" ჩაირიცხა. ახალ კლუბში ჯერ არ აქვს სათამაშო პრაქტიკა, მაგრამ სამომავლოდ, ალბათ, მასაც გამოიძახებთ...**

- მას მომდევნო შესარჩევშიც შეუძლია თამაში. ის წელიწადი უმოქმედოდ იყო და თუ კარგად ათამაშდება, მაისში გამოვიძახებ. ნაკრების გაფართოებულ სიაში 18-20 ფეხბურთელია ისეთი, რომელთაც 21-წლამდელთა ნაკრებში მომავალ საკვალიფიკაციოშიც შეუძლიათ ასპარეზობა. 3 მიზანი მაქვს, პირველი ესაა ეროვნულისთვის ფეხბურთელების მიწოდება. მეორე - ჩემი ნაკრების შედეგი, მესამე კი - მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ფეხბურთელების მომზადება.

**- ერთობლივი ვარჯიში ჩაატარეთ "გაგრასა" და "ჩიხურაში". კიდევ რომელი კლუბები არიან რიგში?**

- ბევრმა კლუბმა გამოთქვა ერთობლივი ვარჯიშის ჩატარების სურვილი. ჩავალ ახალციხეში, ბათუმში, ჭიათურაში... რეგიონებში 1986-დან 1992 წლამდე დაბადებულებს დავაკვირდები. ყველა ნიჭიერს მივცემ თავის წარმოჩენის შანსს. მაისში 3 ტესტმატჩი გვექნება. გაფართოებულ შემადგენლობას გუნდებად დავყოფ და ერთმანეთთანაც ვათამაშებ. მათგან საუკეთესოებს კი ივლისისა და აგვისტოში საკონტროლო მატჩებში გამოვიძახებ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსეთთან შემოდგომის თამაშისთვის 1-2 ახალი ფეხბურთელიც იყოს ჩვენს გუნდში.

**დავით ცაბაძე**

# პატარკაციშვილის ოჯახი დინამოს ისევ დააფინანსებს

რადიო "თავისუფლებამ" გაავრცელა ინფორმაცია, **ბადრი პატარკაციშვილის** მიერ საქართველოში შექმნილ ერთ-ერთ ფინანსურ ჯგუფ "სელფორდში" მკვთრი ცვლილებები იქნებაო. საფეხბურთო მილეთისთვის ეს იმად შეიქნა საყურადღებო, რომ "სელფორდში" შედის "დინამო თბილისი".

ვითარებაში გასარკვევად რამდენიმე კითხვა "სელფორდის" დირექტორ **ირაკლი რუხაძეს** დავუსვით.

- "სელფორდი" ტელეკომპანია "იმედის" მმართველობიდან გავიდა და ეს არარნაირად არ იმოქმედებს "დინამოზე".

**- როგორია ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის პოზიცია - "დინამოს" დაფინანსება გაგრძელდება?**

— კი, ამ მხრივ არარნაირი ცვლილება არ იქნება. უცვლელია ჩვენი მიზანიც ამ სეზონში — თასი და ჩემპიონობა.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ ვახტანგ ფანცხავასთან

# ინტერზე ფიქრებში ლე მანის ძირითადისკენ

**პეტარ სეგრტმა** ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად უხმო ფრანგული „ლე მანის" თავდამსხმელ ვახტანგ ფანცხავას. ვახო ასაკობრივ ნაკრებებში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო და სწორედ იქ ასპარეზობისას შეამჩნიეს „ლე მანის" მენეჯერებმა. საფრანგეთში გადასვლის შემდეგ ტრავმა მიიღო და გარკვეული პერიოდი გაუცდა, მაგრამ ორი თვის წინათ გამოჯანმრთელდა და მას შემდეგ „ლე მანის" დუბლებში სისტემატურად ასპარეზობს. სანამ ახალგაზრდულ ნაკრებს შეუერთდებოდა, 18 წლის ფეხბურთელმა ორი დღე მშობლიურ წყალტუბოში დაჰყო. მას პირველი მწვრთნელის ტრისტან მანაგაძის ოჯახში შევხვდით და კლუბსა და ნაკრებზე ვესაუბრეთ.


ვახტანგ ფანცხავა

**- უკვე კარგა ხანია, საფრანგეთში ხარ, როგორ აუღე ალღო ფრანგულ ფეხბურთს?**

- „ლე მანში" გადასვლის შემდეგ წელის ტკივილის გამო გარკვეული პერიოდი თამაშს ვერ ვახერხებდი. ვარჯიში ორი თვის წინათ დავიწყე. საბედნიეროდ, ახლა ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ მაქვს და ძირითად შემადგენლობასაც გავუშინაურდი. მე და ამირან სანაია „ლე მანის" დუბლებში ვართ. დუბლების ჩემპიონატში ვასპარეზობთ, მაგრამ 7-8 ფეხბურთელი პირველი გუნდიდან ყოველთვის გვემატება. საკმაოდ საინტერესო და დაძაბული პირველობაა.

**- „ლე მანის" მაისურით გოლი თუ გაქვს გატანილი?**

- ოფიციალურ შეხვედრებში არა მაგრამ ამას წინათ საფრანგეთში შეკრებაზე მყოფ ბრაზილიის ჭაბუკთა ნაკრებს შევხვდით და მათ გავუტანე. ის შეხვედრა 2:1 მოვიგეთ.

**- „ლე მანშიც" ცენტრალურ თავდამსხმელად გათამაშებენ?**

- პოზიცია არ შემიცვლია, „ლე მანშიც" ფორვარდი ვარ. გუნდში 10 თავდამსხმელია, დიდი კონკურენციაა, მაგრამ ყველანაირად ვცდილობ, რომ ეს კონკურენცია დავძლიო. პირველ გუნდამდე ჯერ ადრეა, მაგრამ ვგრძნობ რომ მთავარი მწვრთნელი კარგი თვალით მიყურებს. მეც ვცდილობ, თავი კარგად წარმოვაჩინო.

**- ძირითადი გუნდის ფეხბურთელებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ისეთი მეგობრული გარემო დამხვდა. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მეგობრობით კი რომარიკთან, სესენიონთან და დე მელოსთან ვმეგობრობ. ამირან სანაიაზე ალარაფერს ვამბობ. ჩვენ გვერდი-გვერდ ვცხოვრობთ და ერთმანეთს ყველანაირად მხარში ვუდგავართ. ხშირად არა, მაგრამ არის შემთხვევები როცა დუბლების და პირველი გუნდის ფეხბურთელები ერთად ვვარჯიშობთ. „ლე მანის" მთავარი მწვრთნელი რუდი გარსია ხშირად დადის ჩვენს თამაშებზე. გუნდის ხელმძღვანელობაც გამორჩეულად გვეპყრობა. როგორც ოჯახის წევრები ისე მიგვიღეს და საკუთარი შვილებივით გვექცევიან.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად გამოგიძახეს, რამდენად ხარ მზად სათამაშოდ?**

- კარგ ფორმაში ვარ და იმედია, ძირითადში მოვხვდები. თამაშისთვის მზად ვარ, დანარჩენი კი მწვრთნელის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

**- მეტოქეზე რა წარმოდგენა გაქვს?**

- კარგი შემადგენლობა ვიკრიბებით და ჩემი აზრით ლატვიას უნდა მოვუგოთ.

**- ახალგაზრდა კაცისთვის ოჯახიდან მოშორებით, უცხოეთში ყოფნა რთული არ არის?**

- ოჯახი ძალიან მენატრება, მაგრამ თუ ფეხბურთის თამაში გინდა, რალაც უნდა დათმო. კარგ ევროპულ ლიგაში მოხვედრა ყველა ქართველი ახალგაზრდის ოცნებაა და ძალიან გამიმართლა საფრანგეთში რომ მოვხვდი... საქართველოში ხშირად არა ვარ, მაგრამ როცა ჩამოვდივარ, წყალტუბოში ყოველთვის შემოვივლი ხოლმე. აქ გავიზარდე, უამრავი მეგობარი მყავს, ჩემი პირველი მწვრთნელიც აქ არის და ბედნიერი ვარ როცა დიდი ხნის უნახავ ახლობლებს ვხვდები.

**- ვახო, რა არის შენი მიზანი?**

- მინდა, რომ ფეხბურთში მაქსიმუმს მივაღწიო.

**- მაქსიმუმად რა მიგაჩნია?**

- მილანის „ინტერი"...

**დავით კოხრეიძე**
წყალტუბოდან

# ამხანაგურებისთვის მომავალი მეტოქეებიც გაემზადნენ

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მსგავსად, 26 მარტს ამხანაგურად ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ბინადარი სხვა გუნდებიც ითამაშებენ. გამონაკლისი მხოლოდ ირლანდია და კვიპროსი, რომლებიც ამ სანაკრებო დღეს არ იყენებენ.

| 26 მარტი |
| --- |
| ბულგარეთი-ფინეთი |
| ჩერნოგორია-ნორვეგია |
| ესპანეთი-იტალია |

## იტალია

ოთხშაბათს, საქართველოს ნაკრების სამუნდიალო მეტოქე იტალიის ეროვნული გუნდი ელჩეში ესპანეთს დაუპირისპირდება. **რობერტო დონადონიმ** შაბათ საღამოს დაასახელა შემადგენლობა, რომელსაც ამ მატჩისთვის მოამზადებს. ტრავმების შემდეგ "სკუადრა აძურაში" **ჯანლუიჯი ბუფონი** და **მაურო კამორანეზი** დაბრუნდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, მწვრთნელმა არ უხმო **ალესანდრო დელ პიეროს, ანტონიო კასანოსა** და **ალბერტო ჯილარდინოს**, განმარტარა, რომ მათთვის ნაკრების კარი ღიად რჩება. სამაგიეროდ, დონადონის გუნდში მეორედ გამოჩნდა "ჯენოას" ფორვარდი **მარკო ბორიელო**, რომლისთვისაც ბოლო ორი თვე ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. ბორიელო სერია A-ს ბომბარდირთა სიას **დავიდ ტრეზეგესთან** ერთად ლიდერობს (17-17 გოლი).

"სკუადრა აძურა" დღეს დილით მილანში შეიკრიბა, საიდანაც გეზი ალიკანტესკენ აილო, იქიდან კი საღამოთი ელჩეს მიაშურებს, სადაც 26 მარტს, "ლუის ვალეროზე", ესპანეთის ნაკრები ელოდება. თბილისის დროით თამაში 01:00 საათზე დაიწყება. დონადონის რჩეულთა სია კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **მარკო ამელია** (ლივორნო);

მცველები: **ანდრეა ბარძალი** (პალერმო), **ფაბიო კანავარო** (რეალი), **ფაბიო გროსო** (ლიონი), **მარკო მატერაცი** (ინტერი), **კრისტიან პანუჩი** (რომა), **მასიმო ოდო** (მილანი), **ჯანლუკა ძამბროტა** (ბარსელონა);

ნახევარმცველები: **ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო, მასიმო ამბროზინი** (ყველა მილანი), **სიმონე პეროტა, დანიელე დე როსი, ალბერტო აკვილანი** (ყველა რომა), **მაურო კამორანეზი** (იუვენტუსი);


მარკო ბორიელო

თავდამსხმელები: **მარკო ბორიელო** (ჯენოა), **ანტონიო დი ნატალე, ფაბიო კვალიარელა** (ორივე უდინეზე), **ვინჩენცო იაკვინტა** (იუვენტუსი), **ლუკა ტონი** (ბაიერნი).

## ბულგარეთი

ბულგარელთა დამრიგებელი **პლამენ მარკოვი** კმაყოფილია იმით, რომ ამ მატჩისთვის, ფაქტობრივად, საუკეთესო შემადგენლობას მოუყარა თავი. მარკოვი ფინელთა პროგრესსა და ძალას აღიარებს, მაგრამ აცხადებს, რომ მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს.

მეკარეები: **დიმიტარ ივანკოვი** (ქაისერი), **გეორგი პეტკოვი** (ლევსკი).

მცველები: **ჟივკო მილანოვი** (ლევსკი), **სტანისლავ ანგელოვი** (კოტბუსი), **ალექსანდარ ტუნჩევი** (ცსკა სოფია), **ვალენტინ ილიევი** (ტერეკი), **იგორ ტომაშიჩი** (ლევსკი), **მიხაილ ვენკოვი** (ლიტექსი), **ალექსანდარ დ. ალექსანდროვი** (ჩერნო მორე).

ნახევარმცველები: **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა), **ბლაგოი გეორგიევი** (დუისბურგი), **ველიზარ დიმიტროვი** (ცსკა სოფია), **სტანისლავ გენჩევი** (ლიტექსი), **ალექსანდარ ი. ალექსანდროვი** (ჩერნო მორე).

თავდამსხმელები: **დიმიტარ ბერბატოვი** (ტოტენჰემი), **ზდრავკო ლაზაროვი** (შინიკი), **მარტინ პეტროვი** (მანჩესტერ სიტი), **გეორგი კაკალოვი** (ბოტევი).

## ჩერნოგორია

**ზორან ფილიპოვიჩის** თქმით, პირველ შესარჩევ ტურნირამდე დარჩენილ თითოეულ შეხვედრას მისი გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩერნოგორიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ნორვეგიის ნაკრებზე მაღალი აზრისაა, მაგრამ არც თავისი შეგირდების შესაძლებლობებში ეპარება ეჭვი. მატჩი ჩერნოგორიის დედაქალაქ პოდგორიცაში გაიმართება.

მეკარეები: **ვუკაშინ პოლექსიჩი** (დებრეცენი), **დარკო ბოჟოვიჩი** (პარტიზანი).

მცველები: **რისტო ლაკიჩი** (პარტიზანი), **სავო პავიჩევიჩი** (ვოევოდინა), **მილან იოვანოვიჩი** (უნივერსიტატეა), **იოვან ტანასევიჩი** (დინამო მოსკოვი), **დეიან ოგნიენოვიჩი** (ეშტორილი), **ნიკოლა ვუკჩევიჩი** (ბუდუჩნოსტი).

ნახევარმცველები: **ბრანკო ბოშკოვიჩი** (რაპიდი ვენა), **ნიკოლა დრინჩიჩი** (ამკარი), **მილორად პეკოვიჩი** (მაინცი), **მიტარ ნოვაკოვიჩი** (ოფკ), **ვლადიმირ ბოჟოვიჩი** (რაპიდი ბუქარესტი), **სიმონ ვუკჩევიჩი** (სპორტინგი).

თავდამსხმელები: **მირკო ვუჩინიჩი** (რომა), **იგორ ბურზანოვიჩი** (ცრვენა ზვეზდა), **დრაგან ბოგავაცი** (პადერბორნი), **რადომირ დიალოვიჩი** (რიეკა), **სტეფან იოვეტიჩი** (პარტიზანი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჯაკობია ნაკრებამდე დუბლში მოითელა

**ლაშა ჯაკობია** საშუასეზონო პერიოდში გადავიდა ხარკოვის "მეტალისტიდან" პოლტავის "ვორსკლაში", რამეთუ ბოლო პერიოდში მისი მეტალისტური საქმეები ალმა ვერ მიდიოდა.

ოთხი ტურია, რაც უკრაინის ჩემპიონატი განახლდა და ჯაკობიას "ვორსკლაში" ჯერაც არ უთამაშია, თუმცა **კლაუს ტოპმიოლერმა** მას მაინც დაუძახა ეროვნულ ნაკრებში 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩისთვის.

გასულ უქმეებზე კი ჯაკობიამ პირველად ითამაშა "ვორსკლასთვის". თუმცა მხოლოდ დუბლშემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, უკრაინულმა პრესამ ამ ყოველივეს ჯაკობიას პოლტავური დებიუტი დაარქვა.


ლაშა ჯაკობია

*"ჩემი დებიუტი "ვორსკლაში" მაშინ შედგება, როცა პირველ გუნდში ვითამაშებ. თუმცა გოლის გატანა დუბლებშიც მინდოდა, მაგრამ ოთხ მცველში ვიყავი და ხეირიანად ვერ დავარტყი - ბურთი მეკარეს ხელებში მიუვიდა. რაც მთავარია, ფეხი აღარ მაწუხებს, სრულიად ჯანმრთელი ვარ"* - უთხრა ლაშამ უკრაინელ ჟურნალისტებს.

"ვორსკლა"-"ჩერნომორეცის" დუბლთა მატჩი 2:2 დასრულდა, ჯაკობია 55-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით თავართქილაძე**

# მადლობა ღმერთს, რომ ისევ ვთამაშობ

**35 წლის** შოთა არველაძე მეორე ქართველია, ესპანურ პრიმერედივიზიონში რომ ითამაშა. გუშინ მისმა "ლევანტემ" შინ "ვილიარეალთან" 1:2 წააგო, შოთა 86-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.



შოთა არველაძე

არველაძეს მატჩის შემდგ დავურეკეთ ვალენსიაში...

**— რას იტყოდი შენს სადებიუტო მატჩზე? მხოლოდ რამდენიმე წუთი ითამაშე, მაგრამ მიუხედვად ამისა, ალბათ მაინც კარგად დაიტვირთე ემოციებით...**

— კარგი გრძნობაა, როცა ამდენი ხნის მერე თამაში გეღირსება და ისიც ერთ-ერთ საუკეთესო, ჩემთვის სანატრელ ლიგაში. სამწუხარო კი ის არის, რომ დავმარცხდით.

**— კარგი გრძნობა ერთია, მაგრამ ალბათ შენნაირი გამოცდილი ფეხბურთელისთვისაც იოლი არ იყო თავისებური სტრესის გადატანა...**

— მასეა, საკმაოდ ვინერვიულე, ახალი ფეხბურთელი ვარ გუნდში და ვგრძნობდი, რომ ყველა მე მიყურებდა, ყველა მაკვირდებოდა. ისიცაა, რომ 25 მაისის შემდეგ დღეს პირველად ვითამაშე.

**— და რა მოასწარი ოთხ წუთში?**

— მსაჯმა კიდევ სამი წუთი დაამატა. ბურთს მხოლოდ ერთხელ შევეხე. მატჩის ბოლო იყო და არეულ-დარეული თამაში წავიდა, შეტევაში მაღალი ბურთის მოსაგებად ჩვენი მეკარეც მიდიოდა.

**— "ლევანტეს" თავკაცი ჯიანი დე ბიაზი რას გეუბნება, მომდევნო შეხვედრაში უფრო მეტი ხნით შეგიშვებს შეცვლაზე?**

— ასეთი რამ ჯერ არ უთქვამს. Mმისი მადლობელი ვარ, ტრავმით გამოწვეული ამდენი უთამაშებლობის შემდეგ მოედანზე რომ შემიყვანა. Mმადლობა ღმერთს, რომ ისევ ვთამაშობ.

**— ქრონიკულად მტკივანი მარჯვენა მუხლი როგორ გაქვს?**

— რადგან ვითამაშე, ტკივილს ძალიან არ ვუჩივი, ამ მუხლის ბოლომდე მოშუშება კი გამორიცხულია.

**დავით თავართქილაძე**

# ქართველი პრიმერაში


ხიზანიშვილი პესკის წინააღმდეგ

2001 წლის მერე პირველად, ისტორიაში კი მეორედ ესპანური პრიმერა ქართველმა ფეხბურთელმა დააგემოვნა. „ლევანტე“-„ვილიარეალის“ ვალენსიური დერბის 87-ე წუთზე (უფრო ზუსტად 86 წთ და 23 წამზე) ხუანმას ნაცვლად მასპინძელთა შემადგენლობაში შოთა არველაძე გამოჩნდა. 2001 წელს გიორგი დემეტრაძემ „რეალ სოსიედადის“ მაისურით ცხრა მატჩში ერთი გოლი გაიტანა. არველაძეს დებიუტი გვარიანად დაუგვიანდა, ორმა ოპერაციამ მას სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდინა, ამასობაში კი „ლევანტე“ უიმედოდ ჩამორჩა.

## კანდელაკი და იაშვილი

ლევან კობიაშვილი ტრავმირებულია და მისი თამაში ბელფასტში ჩრდილოირლანდიელთა წინააღმდეგ ფაქტობრივად გამორიცხულია. **ალექსანდრე იაშვილმა** დორტმუნდში „ბორუსიასთან“ პირველი ტაიმი ითამაშა და შემდეგ პასიურობის გამო შეცვალეს. „შპორტალმა“ იაშვილის თამაში 5 ქულით შეაფასა.

მეორე ბუნდესლიგაში გაიბრძოლა იენის „კარლ ცაისმა“, **ილია კანდელაკი** სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და მისმა გუნდმა შინ 1:0 დაამარცხა „ფიურტი“. ილიამ „შპორტალისგან“ 4 ქულა დაიმსახურა. გერმანიაში ქართველთაგან ორივე ლიგაში მხოლოდ ალექსანდრე იაშვილმა და ილია კანდელაკმა ითამაშეს.

## სამწუთნახევრიანი დებიუტი

ვალენსიური დერბის დაწყებიდან 86 წუთი და 23 წუთი იყო დაწყებული, „ლევანტე“ „ვილიარეალთან“ 1:2-ს აგებდა, როცა **შოთა არველაძემ ხუანმა** შეცვალა. შოთას ბურთი ხეირიანადაც არ მიუღია, თუმცა დებიუტი შედგა. „ლევანტე“ 28 თამაშიდან 19 ქულით ბოლო ადგილზეა და ბოლოსწინა „მურსიას“ ოთხი ქულით ჩამორჩება, უსაფრთხო ზონას კი – 13 ქულით.

## ინგლისსა და იტალიაში ჩვენი მცველები ყოჩაღობენ

კათოლიკური აღდგომის გამო სერია A-ს მორიგი ტური შაბათს გაიმართა, **კახა კალაძის** „მილანი“ ტურინს ესტუმრა და „ტორინო“ ბრაზილიელი **პატოს** გოლის წყალობით დაამარცხა – 1:0. „მილანს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურამდე ოთხი ქულა აშორებს. კახამ 90 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე რომ არა კახას დროული ჩარევა, **ალესანდრო როსინას** გოლის გატანა არ გაუჭირდებოდა. „გოლმა“ მას 7 ბალი დაუწერა, მაშინ, როცა „დატა სპორტმა“ მხოლოდ 5,5 გაიმეტა.

**ზურაბ ხიზანიშვილი** მალევე დაუბრუნდა „ბლექბერნის“ სასტარტოს, ამის მიზეზი **ბრეტ ემერტონის** ტრავმა იყო, ზურამ დაცვის ცენტრში **კრის სამბასთან** წყვილი შეადგინა. თუმცა ეს დუეტი მე-16 წუთზე დაიშალა, როცა სამბამ წითელი ბარათი მიიღო და ხიზანიშვილი დაცვის ცენტრში მარტო დატოვა. მატჩის 63-ე წუთზე მესამე გოლის შეტევა სწორედ ქართველმა მცველმა დაიწყო, როცა ბურთი „უიგანის“ ფორვარდს აართვა და ფლანგზე **დევიდ ბენტლი** მოძებნა. „სეტანტა სპორტსმა“ ხიზანიშვილის თამაში 6,5 ქულით შეაფასა.

## არ ათამაშებენ

პირველ წრეში **გიორგი შაშიაშვილი** ყოველთვის ხვდებოდა „შტურმის“ სასტარტოში, ახლა კი მას ადგილი გარანტირებული აღარ აქვს, „მატერსბურგთან“ 1:1 დასრულებულ მატჩში ქართველ მცველს არ უთამაშია. „შტურმი“ 47 ქულით მეხუთეა, რაც ავსტრიაში ცხრილის შუაგულია.

შვეიცარიაში „თუნი“ უკვე **სანდრო იაშვილის** გარეშე აგებს, „იანგ ბოიზთან“ მატჩში ქართველი ფორვარდი განაცხადშიც არ ყოფილა.


ბურთით სანდრო კობახიძე

## კვირკველია უდანაკარგოა

რუსეთის ჩემპიონატში ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიდის ქართული ტრიოს „რუბინი“. ყაზანელებმა შინ 1:0 დაამარცხეს „ლუჩი“. **დავით კვირკველიამ** კვლავ 90 წუთი ითამაშა, მან მეორე ტაიმში მეტოქისთვის იდაყვის დარტყმისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. მატჩის ბოლო წუთზე ტაქტიკური შეცვლის წყალობით **ლაშა სალუქვაძეც** ვიხილეთ. ამ მატჩში „ლუჩის“ რიგებში თავიდან ბოლომდე ითამაშა **ლევან გვაზავამ**, რომელმაც ხელით თამაშისთვის ერთ ეპიზოდში ყვითელი ბარათი მიიღო.

ნალჩიკში „სპარტაკი“ მოულოდნელად 0:1 დამარცხდა „ამკართან“. **გოგიტა გოგუა** ბევრს ცდილობდა მარცხენა ფლანგზე, თუმცა თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს, დაცვაში 90 წუთი ითამაშა **ალექსანდრე ამისულაშვილმა**. პირველ ტურში **დავით სირაძემ** თავის გამოჩენა ვერ შეძლო, „ამკართან“ ის სათადარიგო იყო და მეორე ტაიმში შევიდა **ნაზირ კაჟაროვის** ნაცვლად. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ უქართველოდ მოუგო სტუმრად იაროსლავლის „შინიკს“.

## კობახიძის დებიუტი

უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერის დებიუტი შედგა – 19 წლის **სანდრო კობახიძემ** კარიერაში პირველად უჟგოროდში მოირგო „დნიპროს“ ცისფერი მაისურა. თამაშის დასრულებამდე 12 წუთი რჩებოდა, **ოლეგ პროტასოვმა** კობახიძე **ჯაბა კანკავას** ნაცვლად რომ შეუშვა. მატჩი 1:1 დასრულდა. „დნიპრო“ ზამთრის შესვენებაზე ლიდერის რანგში გავიდა, ახლა 48 ქულით ქართველთა გუნდი მესამეა. პირველ ტაიმში კანკავამ ერთხელ ძალიან კარგი პასი მისცა თანაგუნდელს, რომელმაც მომენტი გააფუჭა. **კახა ალადაშვილის** „ხარკოვმა“ კვლავ ქულა აილო, ქართველმა მცველმა 73-ე წუთამდე ითამაშა. „ხარკოვი“ 20 ქულით ლიგაში მხოლოდ ორ გუნდს უსწრებს.

სხვა ქართველებს ამ ტურში ვიშა ლიგაში არ უთამაშიათ. არადა **ლადო ბურდულის** „ზარიას“ გასავარდნად აქვს საქმე, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი კი დუბლებში თამაშობს. სხვათა შორის, დუბლების მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ ბურდული გუნდის ლიდერი და საუკეთესო ფეხბურთელი იყო. **ლაშა ჯაკობიამ** ტრავმის შემდეგ დუბლებში ითამაშა.

## მაღრაძე პლეი-ოფს მიღმა

კვიპროსში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა, გაირკვა იმ ოთხი კლუბის ვინაობაც, რომლებიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ, **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი“ 64 ქულით პირველია და მდევარს 11 ქულით უსწრებს (ფლეი-ოფში გუნდებს თავიანთი ქულები გადაჰყვებათ). ოთხეულში ვერ მოხვდა **ლევან მაღრაძის** „აპოლონი“, ბოლო ტურში ლევანის გუნდი 3:3 ეთამაშა „ომონიას“. „აპოლონი“ 39 ქულით მეხუთე დარჩა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსს“ კი ამის პრეტენზია არ ჰქონია, კლუბმა ჩემპიონატი 34 ქულით მერვე ადგილზე ჩაამთავრა. ქართველთაგან ამ ტურში **კობა წიტაიშვილმა** და ლევან ქებაძემ ითამაშეს, ლევანმა სეზონი 10 გოლით დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXV ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰერტა-შალკე | 1:2 | ტრავმა | 10 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | დორტმუნდი-კარლსრუე | 1:1 | 45 წთ. (შეცვალეს) | 21 თ. 1 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XXIV ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-ფიურტი | 1:0 | 90 წუთი | 11 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-ფიურტი | 1:0 | არ უთამაშია | 9 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-ფიურტი | 1:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუე-ფრაიბურგი | 2:2 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | კობლენცი-მიუნხენი | 3:1 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXXI ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-უიგანი | 3:1 | 90 წუთი | 11 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXIX ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ვილიარეალი | 1:2 | 3 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXX ტური | | | | |
| კახა კალაძე | ტორინო-მილანი | 0:1 | 90 წუთი | 20 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXVII ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | იანგ ბოიზი-თუნი | 4:2 | არ უთამაშია | 20 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXXI ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | მატერსბურგი-შტურმი | 1:1 | არ უთამაშია | 27 თ. 0 გ. |
| ერსტე ლიგა. XXX ტური | | | | |
| მირზა ბუძლავა | ავსტრია-ზალცბურგი (მ) | 2:2 | არ უთამაშია | 4 თ. 0 გ. |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. XXII ტური | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოჰემიანსი-მლადა | 1:1 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. II ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-ამკარი | 0:1 | 90 წუთი | 2 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ.-ამკარი | 0:1 | 33 წთ. (შეცვლაზე) | 2 თ. 0 გ. |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ამკარი | 0:1 | 90 წუთი | 2 თ. 0 გ. |
| ლევან გვაზავა | რუბინი-ლუჩი | 1:0 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 2 თ. 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | შინიკი-ლოკომოტივი | 1:2 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | შინიკი-ლოკომოტივი | 1:2 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ლუჩი | 1:0 | 1 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | რუბინი-ლუჩი | 1:0 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 2 თ. 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ლუჩი | 1:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XXII ტური | | | | |
| ჯაბა კანკავა | ზაკარპატიე-დნიპრო | 1:1 | 78 წთ. (შეცვალეს) | 16 თ. 3 გ. |
| ალექსანდრ კობახიძე | ზაკარპატიე-დნიპრო | 1:1 | 12 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალისტი-არსენალი | 2:4 | სათადარიგო | 18 თ. 3 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-მეტალურგი ზ. | 0:1 | არ უთამაშია | 16 თ. 0 გ. |
| კახა ალადაშვილი | მეტალურგი დ.-ხარკივი | 0:0 | 73 წთ. (შეცვალეს) | 13 თ. 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა-დნიპრო | 2:0 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. XXVI ტური | | | | |
| ლევან ქებაძე | აკ-ეთნიკოსი | 1:0 | 90 წუთი | 10 გ. |
| ლევან მაღრაძე | აპოლონი-ომონია | 3:3 | არ უთამაშია | 0 გ. |
| კობა წიტაიშვილი | აპოპ-ანორთოსისი | 0:2 | 90 წუთი | 2 გ. |

# უცხოური ფეხბურთი

### ინტერი-იუვენტუსი 1:2

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7.5, მაიკონი-6.5, მატერაცი-6, ბურდისო-4.5, კივუ-6 (83. ბალოტელი-შ.გ), მაქსველი-5.5, ხ. ძანეტი-6, სტანკოვიჩი-5.5, ხიმენესი-5.5 (52. სუასო-6), კრუსი-5 (64. მანიშე-6.5), იბრაჰიმოვიჩი-6.

**იუვენტუსი:** ბუფონი-7, გრიგერა-6.5, ლეგროტალიე-6.5, კიელინი-7, მოლინარო-6.5, სალიჰამიჯიჩი-6, სისოკო-6.5, კამორანეზი-7, ნედვედი-6.5 (86. ნოჩერინო-შ.გ), დელ პიერო-7, ტრეზეგე-7 (83. იაკვინტა-შ.გ).

**გოლები:** 0:1 კამორანეზი (49), 0:2 ტრეზეგე (63), 1:2 მანიშე (84)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 17-31; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 13-22 (3-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 58 049

### რომა-ემპოლი 2:1

**რომა:** ა. დონი-6.5, პანუჩი-6.5, ფერარი-6, ტონეტო-6, კასეტი-6, პეროტა-5.5, პისარო-5 (77. ბრიგი-შ.გ), დე როსი-6.5, ჟიული-5.5 (55. ვუჩინიჩი-6), მანსინი-5 (65. ტადეი-შ.გ), ტოტი-6.5.

**ემპოლი:** ბასი-5, რაჯი-5 (72. ვოლპატო-შ.გ), მარძორატი-6, პიკოლო-6, ანტონინი-6, ბუდელი-6 (81. ჯაკომაცი-შ.გ), აბატე-6, ვანუკი-5.5, ბუშე-6, მარკიზიო-6 (51. მორო-6), ჯოვინკო-7.

**გოლები:** 1:0 ტონეტო (36), 1:1 ჯოვინკო (50), 2:1 პანუჩი (63)

**გაძევება:** პეროტა (57. რომა)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 13-12 (3-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 31 392

### ფიორენტინა-ლაციო 1:0

**ფიორენტინა:** ავრამოვი-6.5, კროლდრუპი-6, უიფალუში-6.5, გობი-6.5, მონტოლივო-6, ლივერანი-6.5, დონადელი-6 (66. კუზმანოვიჩი-6), იორგენსენი-შ.გ (20. პოტენცა-6), სანტანა-6.5, ვიერი-5 (55. პაცინი-7), მუტუ-6.5.

**ლაციო:** ბალოტა-6, სივილია-6, დე სილვესტრი-5.5, როზენალი-6.5, კოლაროვი-5.5, ლედესმა-6, მაური-5 (46. მუდინგაი-6), მუტარელი-5, დაბო-6 (70. მეგნი-6), პანდევი-6, როკი-6 (61. ბიანკი-6).

**გოლი:** 1:0 პაცინი (77)

**გაძევება:** მუტარელი (37. ლაციო)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 16-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 26 579

### ტორინო-მილანი 0:1

**ტორინო:** ა. ფონტანა-7, დი ლორეტო-5.5, მ. პიზანო-5.5, ნატალი-6, დიანა-6 (86. მოტა-შ.გ), კორინი-5 (70. ვენტოლა-5.5), პ. ძანეტი-6, გრელა-5.5, როზინა-5.5, დი მიკელე-5 (73. რეკობა-შ.გ), სტელონე-6.5.

**მილანი:** კალაჩი-6, ოდო-6, ნესტა-6, კალაძე-6.5, მალდინი-6.5 (81. ფავალი-შ.გ), პირლო-6, გატუზო-6 (67. ბროკი-6), ზეედორფი-6, ამბროზინი-6, ჯილარდინო-6.5, პატო-6.5 (87. ემერსონი-შ.გ).

**გოლი:** 0:1 პატო (66)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 27-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-21 (1-9); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 19 200

### სამპდორია-კალიარი 1:1

**სამპდორია:** კასტელაცი-6, სალა-6, მაჯო-5, აკარდი-5, გასტალდელო-5.5, დ. ფრანჩესკინი-6.5, ვოლპი-6, პიერი-6 (73. ციგლერი-6), პალომბო-6, სამარკო-5 (66. კალუ-6), ბონაცოლი-5 (46. ბელუჩი-6).

**კალიარი:** სტორარი-6, აგოსტინი-6 (71. ფერი-6), კონტი-6.5, ფ. პიზანო-6, კანინი-6, დელ გროსო-6.5, ლოპესი-6.5, ფოჯა-7 (73. კოსუ-შ.გ), ბიონდინი-6, აკვაფრესკა-6 (64. ლარივეი-5.5), ჟედა-5.5.

**გოლები:** 0:1 ფოჯა (42), 1:1 დ. ფრანჩესკინი (90)

| 13. დაჩა | 25 | 6 | 7 | 12 | 22-32 | 25 |
| 14. ფარული | 24 | 5 | 8 | 11 | 14-26 | 23 |
| 15. პანდური | 24 | 5 | 6 | 13 | 24-33 | 21 |
| 16. ჩახლაული | 24 | 6 | 3 | 15 | 20-31 | 21 |
| 17. უტა არადი | 25 | 4 | 7 | 14 | 20-33 | 19 |
| 18. უნივერს (კლ) | 25 | 2 | 12 | 11 | 26-38 | 18 |

## უელსი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| კარმართენი-ბანგორი | 2:1 |
| ქერნარფონი-უელშპული | 1:1 |
| ჰავერფორდვესტი-ეირბასი | 4:0 |
| ქონეასი-პორტ ტელბოტი | 0:1 |
| ლანგეფნი-ებერისტვითი | 3:0 |
| ნითი-ნიუ | 3:0 |
| ნიუთაუნი-ტნს | 0:0 |
| პორტმედოგი-ლანელი | 2:4 |
| რილი-ქერსუსი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანელი | 29 | 23 | 4 | 2 | 90-31 | 73 |
| 2. ტნს | 29 | 21 | 3 | 5 | 72-25 | 66 |
| 3. რილი | 29 | 19 | 5 | 5 | 52-20 | 62 |
| 4. კარმართენი | 31 | 15 | 8 | 8 | 56-41 | 53 |
| 5. ბანგორი | 30 | 14 | 9 | 7 | 59-27 | 51 |
| 6. პ. ტელბოტი | 30 | 14 | 8 | 8 | 49-41 | 50 |
| 7. ნითი | 29 | 13 | 7 | 9 | 49-44 | 46 |
| 8. ებერისტვითი | 30 | 13 | 6 | 11 | 53-38 | 45 |
| 9. ჰავერფორდვ. | 31 | 13 | 5 | 13 | 58-52 | 44 |
| 10. უელშპული | 29 | 11 | 8 | 10 | 44-45 | 41 |
| 11. ეირბასი | 30 | 9 | 8 | 13 | 33-43 | 35 |
| 12. ნიუთაუნი | 30 | 8 | 9 | 13 | 43-57 | 33 |
| 13. ნიუი | 30 | 9 | 2 | 19 | 37-63 | 29 |
| 14. ქონეასი | 29 | 8 | 5 | 16 | 34-75 | 29 |
| 15. ქერნარფონი | 30 | 7 | 6 | 17 | 38-69 | 27 |
| 16. ქერსუსი | 29 | 6 | 5 | 18 | 32-65 | 23 |
| 17. პორტმედოგი | 30 | 6 | 4 | 20 | 44-66 | 22 |
| 18. ლანგეფნი | 29 | 6 | 2 | 21 | 33-74 | 20 |

## ჩრ. ირლანდია

XXII ტური

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-კოლერეინი | 1:2 |
| გლენტორანი-გლენავონი | 3:0 |
| ბალიმენა-ლისბერნი | 2:1 |
| ლიმავადი-დუნგანონი | 1:1 |
| არმაგი-ლარნი | 2:5 |
| პორტადაუნი-დონეგალი | 1:1 |
| ლინფილდი-ინსტიტუტი | 1:0 |
| კრუზეიდერსი-ნიური | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლინფილდი | 25 | 19 | 4 | 2 | 57-17 | 61 |
| 2. კლიფტონვილი | 25 | 18 | 5 | 2 | 50-22 | 59 |
| 3. გლენტორანი | 25 | 18 | 4 | 3 | 59-22 | 58 |
| 4. ლისბერნი | 25 | 14 | 5 | 6 | 42-24 | 47 |
| 5. პორტადაუნი | 25 | 13 | 3 | 9 | 38-27 | 42 |
| 6. ბალიმენა | 24 | 12 | 4 | 8 | 35-32 | 40 |
| 7. კრუზეიდერსი | 25 | 9 | 7 | 9 | 37-41 | 34 |
| 8. ნიური | 25 | 10 | 3 | 12 | 38-42 | 33 |
| 9. კოლერეინი | 25 | 9 | 6 | 10 | 31-41 | 33 |
| 10. დუნგანონი | 25 | 8 | 7 | 10 | 33-37 | 31 |
| 11. დონეგალი | 25 | 5 | 8 | 12 | 28-42 | 23 |
| 12. გლენავონი | 25 | 7 | 2 | 16 | 28-42 | 23 |
| 13. არმაგი | 25 | 5 | 5 | 15 | 27-43 | 20 |
| 14. ლარნი | 25 | 5 | 4 | 16 | 35-61 | 19 |
| 15. ინსტიტუტი | 25 | 4 | 6 | 15 | 19-35 | 18 |
| 16. ლიმავადი | 24 | 4 | 5 | 15 | 16-45 | 17 |

## ბულგარეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ვიხრენი-ვიდიმა | 1:1 |
| ლიტექსი-სპარტაკი | 1:0 |
| ლევსკი-ბელასიცა | 4:0 |
| ბოტევი-სლავია | 3:0 |
| ჩერნო მორე-ლოკომოტივი (პ) | 2:1 |
| მარეკი-ბეროე | 0:1 |
| ჩერნომორეცი-ლოკომოტივი (ს) | 1:1 |
| ცსკა-პირინი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 20 | 16 | 4 | 0 | 33-8 | 52 |
| 2. ლოკომოტ (ს) | 20 | 12 | 6 | 2 | 40-22 | 42 |
| 3. ლევსკი | 20 | 12 | 4 | 4 | 34-14 | 40 |
| 4. სლავია | 20 | 11 | 4 | 5 | 29-18 | 37 |
| 5. ლიტექსი | 20 | 10 | 6 | 4 | 31-14 | 36 |
| 6. პირინი | 20 | 9 | 4 | 7 | 20-17 | 31 |
| 7. ჩერნო მორე | 20 | 8 | 6 | 6 | 25-21 | 30 |
| 8. ჩერნომორეც | 20 | 8 | 6 | 6 | 24-21 | 30 |
| 9. ლოკომოტ (პ) | 20 | 8 | 4 | 8 | 22-16 | 28 |
| 10. ბოტევი | 20 | 7 | 6 | 7 | 26-31 | 27 |
| 11. ბეროე | 20 | 5 | 5 | 10 | 14-20 | 20 |
| 12. ვიხრენი | 20 | 5 | 3 | 12 | 15-23 | 18 |
| 13. მარეკი | 20 | 5 | 2 | 13 | 14-34 | 17 |
| 14. სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 11-26 | 13 |
| 15. ბელასიცა | 20 | 3 | 4 | 13 | 10-32 | 13 |
| 16. ვიდიმა | 20 | 2 | 4 | 14 | 8-39 | 10 |

## კვიპროსი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ნეა სალამინა-ალკი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 0:1 |
| აპოპ-ანორთოსისი | 0:2 |
| აეკ-ეთნიკოსი | 1:0 |
| აპოელ-აელ | 2:0 |
| აპოლონი-ომონია | 3:3 |
| ენოსისი-დოქსა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანორთოსისი | 26 | 19 | 7 | 0 | 49-13 | 64 |
| 2. აპოელ | 26 | 16 | 5 | 5 | 51-19 | 53 |
| 3. ომონია | 26 | 14 | 6 | 6 | 36-22 | 48 |
| 4. აეკ | 26 | 12 | 5 | 9 | 34-32 | 41 |
| 5. აპოლონი | 26 | 10 | 9 | 7 | 40-33 | 39 |
| 6. აპოპ | 26 | 10 | 7 | 9 | 35-35 | 37 |
| 7. ენოსისი | 26 | 10 | 6 | 10 | 28-30 | 36 |
| 8. ეთნიკოსი | 26 | 11 | 1 | 14 | 34-35 | 34 |
| 9. დოქსა | 26 | 9 | 7 | 10 | 38-40 | 34 |
| 10. ალკი | 26 | 7 | 6 | 13 | 32-40 | 27 |
| 11. აელ | 26 | 7 | 6 | 13 | 28-39 | 27 |
| 12. არისი | 26 | 7 | 6 | 13 | 24-35 | 27 |
| 13. ნეა სალამინა | 26 | 6 | 6 | 14 | 28-54 | 24 |
| 14. ოლიმპიაკოსი | 26 | 3 | 5 | 18 | 24-54 | 14 |

## ისრაელი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბნეი შახნინი-ბნეი იეჰუდა | 1:3 |
| მაკაბი (ჰაიფ)-ჰაპოელი (ქ) | 2:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ჰერ) | 2:1 |
| ჰაპოელი (ქ-ს)-ბეითარი | 0:4 |
| მაკაბი (პ-თ)-მაკაბი (ნ) | 0:1 |
| მაკაბი (თ-ა)-აშდოდი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეითარი | 25 | 18 | 6 | 1 | 50-11 | 60 |
| 2. მაკაბი (ნ) | 25 | 12 | 8 | 5 | 29-16 | 44 |
| 3. მაკაბი (ჰაიფ) | 25 | 12 | 5 | 8 | 31-18 | 41 |
| 4. ჰაპოელი (ქ) | 25 | 10 | 10 | 5 | 29-23 | 40 |
| 5. ბნეი შახნინი | 25 | 10 | 10 | 5 | 22-22 | 40 |
| 6. მაკაბი (პ-თ) | 25 | 8 | 6 | 11 | 24-29 | 30 |
| 7. ჰაპოელი (ქ-ს) | 25 | 7 | 9 | 9 | 31-41 | 30 |
| 8. მაკაბი (თ-ა) | 25 | 8 | 5 | 12 | 30-31 | 29 |
| 9. ჰაპოელი (თ-ა) | 25 | 8 | 4 | 13 | 25-31 | 28 |
| 10. მაკაბი (ჰერ) | 25 | 6 | 8 | 11 | 27-36 | 26 |
| 11. აშდოდი | 25 | 6 | 6 | 13 | 27-45 | 24 |
| 12. ბნეი იეჰუდა | 25 | 4 | 5 | 16 | 18-40 | 17 |

## არგენტინა

კლაუსურა

VII ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-სან ლორენსო | 0:1 |
| ტიგრე-ხიმნასია (ხ) | 2:0 |
| როსარიო-ბანფილდი | 2:1 |
| არგ. ხუნიორსი-ოლიმპო | 1:0 |
| რასინგი-ესტუდიანტესი | 1:2 შეწყდა |
| ველესი-რივერი | 0:2 |
| ბოკა-კოლონი | 2:1 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ურაკანი | გვ. დასრულდა |
| სან მარტინი-ინდეპენდ | გვ. დასრულდა |
| ლანუსი-ნიუელსი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

კლაუსურა

XI ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ატლასი | 3:3 |
| ხაგუარესი-ტიგრესი | 3:2 |
| მონტერეი-კრუს ასული | 3:2 |
| ამერიკა-ტოლუკა | 0:1 |
| გვადალახარა-პაჩუკა | 2:1 |
| მორელია-ნეკაქსა | 0:0 |
| პუებლა-სან ლუისი | 1:2 |
| პუმასი-ს. ლაგუნა | 1:1 |
| ატლანტე-ვერაკრუსი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

აპერტურა

XII ტური

| | |
|---|---|
| აუ. ნუბლენსე-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| უნ. კატოლიკა-კობრელოა | 2:1 |
| უნ. კონსეპსიონი-ლა სერენა | 2:1 |
| რეინჯერსი-აუდაქსი | 2:0 |
| უაჩიპატო-უნ. ჩილე | 3:2 |
| მელიპილა-კობრესალი | 1:2 |
| ოსორნო-დ. კონსეპსიონი | 1:3 |
| პალესტინო-უნ. ესპანიოლა | 2:3 |
| ს. მორნინგი-ევერტონი | 1:4 |
| კოლო კოლო-ანტოფაგ | გვ. დასრულდა |

## პოლონეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| სოსნოვეცი-ლკს | 1:3 |
| ბელხატოვი-ლეხი | 0:3 |
| კორონა-იაგელონია | 1:0 |
| პოლონია-გურნიკი | 0:1 |
| ვიძევი-ლეგია | 0:1 |
| ვისლა-ოდრა | 0:0 |
| გროცლინი-კრაკოვია | 0:0 |
| ზაგლებე-რუხი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 22 | 18 | 4 | 0 | 50-11 | 58 |
| 2. ლეგია | 22 | 15 | 1 | 6 | 35-11 | 46 |
| 3. გროცლინი | 22 | 14 | 3 | 5 | 39-19 | 45 |
| 4. ლეხი | 22 | 12 | 5 | 5 | 37-23 | 41 |
| 5. კორონა | 22 | 12 | 3 | 7 | 28-26 | 39 |
| 6. ზაგლები | 22 | 10 | 6 | 6 | 29-23 | 36 |
| 7. გურნიკი | 22 | 9 | 3 | 10 | 28-32 | 30 |
| 8. ბელხატოვი | 22 | 7 | 6 | 9 | 20-27 | 27 |
| 9. იაგელონია | 22 | 7 | 6 | 9 | 20-32 | 27 |
| 10. ოდრა | 22 | 7 | 5 | 10 | 21-28 | 26 |
| 11. კრაკოვია | 22 | 7 | 4 | 11 | 17-22 | 25 |
| 12. რუხი | 22 | 6 | 7 | 9 | 26-31 | 25 |
| 13. ვიძევი | 22 | 3 | 10 | 9 | 20-29 | 19 |
| 14. პოლონია | 22 | 5 | 3 | 14 | 11-35 | 18 |
| 15. ლკს | 22 | 3 | 7 | 12 | 13-20 | 16 |
| 16. ზაგლებე | 22 | 3 | 3 | 16 | 17-42 | 12 |

## ეკვადორი

კლაუსურა

VIII ტური

| | |
|---|---|
| ელ ნასიონალი-უნ. კატოლიკა | 1:1 |
| დეპ. ასოგესი-ლიგა დე კიტო | 2:2 |
| დეპ. მაკარა-ესპოლი | 0:1 |
| დეპ. კიტო-ტექ. უნივერსიტარიო | 1:0 |
| ოლმედო-დეპ. კუენკა | 0:0 |
| ემელეკი-ბარსელონა | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

აპერტურა

IX ტური

| | |
|---|---|
| დეპორტესი-ჩიკო | 4:1 |
| დეპორტივო კალი-ამერიკა | 0:4 |
| სანტა ფე-მილიონარიოსი | 1:1 |
| ატლეტიკო ჰუ-ტოლიმა | 3:2 |
| ბუკარამანგა-კუკუტა | 1:1 |
| ენვიგადო-ატლეტიკო ხუნიორი | 1:0 |
| ონსე კალდასი-დეპორტივო (პერ) | 1:1 |
| ლა ეკვიდ-დეპორტ (პას) | 1:1 |

## პერუ

აპერტურა

VIII ტური

| | |
|---|---|
| სან მარტინი-ბოლოგნესი | 0:0 |
| ხუან აურიჩი-სესიანო | 1:0 |
| სესარ ვალეხო-სპორტ ბოისი | 1:0 |
| მელგარი-ალიანსა ატლეტიკო | 1:0 |
| ხოსე გალვესი-ალიანსა ლიმა | 1:1 |
| სპ. კრისტალი-სპორტი | 2:1 |
| უნივერსიტ-ატლეტიკო | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

კლაუსურა

VI ტური

| | |
|---|---|
| უონდერერსი-სერო | 1:0 |
| მირამარი-პენიაროლი | 0:2 |
| ფენიქსი-რამპლა | 2:0 |
| რივერ პლეიტი-ტაკუარემბო | 5:0 |
| ბელა ვისტა-პროგრესო | 1:3 |
| სენტრალი-დანუბიო | 2:0 |
| დეფენსორი-ლივერპული | 3:2 |
| ხუვენტუდი-ნასიონალი | 1:2 |

ინგლისის ნაკრები

# კაპელოს საბოლოო შემადგენლობა

პრემიერლიგის ბოლო ტურის შემდეგ **ფაბიო კაპელომ** ინგლისელთა გაფართოებულ შემადგენლობას გადახედა და შვიდი ფეხბურთელი ამოაკლო. "ასტონ ვილის" მეკარე სკოტ კარსონს მისი გუნდის "სანდერლენდთან" დამარცხება ძვირად დაუჯდა. იტალიელმა მწვრთნელმა მის ნაცვლად "ტოტენჰემის" კარის დარაჯ **პოლ რობინსონს** უხმო. კაპელომ ზედმეტად მიიჩნია "ტოტენჰემის" ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯენასი**, "პორტსმუთის" თავდამსხმელი **ჯერმეინ დეფო**, "ჩელსის" გარემარბი **შონ რაიტ-ფილიპსი** და "ასტონ ვილის" ახალგაზრდა ფეხბურთელები - **გაბრიელ აგბონლაორი** და **ეშლი იანგი**. გადაიდო მიდლსბროელი მცველის **დევიდ ვიტერის** სანაკრებო დებიუტიც. **დევიდ ბექჰემი** გუნდშია. ინგლისელი მიმომხილველების ვარაუდით, საფრანგეთთან მატჩში ნაკრების კაპიტანი სწორედ ის იქნება.

**მეკარეები** - დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), კრის კერკლანდი (ვიგანი);

**მცველები** - უეინ ბრიჯი (ჩელსი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (ჩელსი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), გლენ ჯონსონი (პორტსმუთი), ჯოლეონ ლესკოტი (ევერტონი), ჯონ ტერი (ჩელსი), ჯონათან ვუდგეიტი (ტოტენჰემი);

**ნახევარმცველები** - სტივ ჯერარდი (ლივერპული), გარეთ ბერი (ასტონ ვილა), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯო კოული (ჩელსი), დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), დევიდ ბექჰემი (გალაქსი), სტიუარტი დაუნინგი (მიდლსბრო);

**თავდამსხმელები** - მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), თეო უოლკოტი (არსენალი).

## პოლ ჯუელის ოინები

თავის მოჭრაც ამას ჰქვია: "ნიუს ოფ ზე უორლდს" ხელში ჩაუვარდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც "დერბი ქაუნთის" მთავარი მწვრთნელის **პოლ ჯუელისა** და მავანი ქერა ლამაზმანის სქესობრივი აქტია ასახული. საინტერესო ისაა, რომ ჩანაწერი თვითონ ჯუელმა გააკეთა. კადრები გადაღებულია საძინებელში, აბაზანაში და თქვენ წარმოიდგინეთ, ეზოშიც კი. პოპულარულ ტაბლოიდს არ უთქვამს, როგორ აღმოჩნდა სკანდალური ფირი მის რედაქციაში. გაზეთის რედაქტორებს ბევრი არ უფიქრიათ, მოზრდილი სტატია გამოაცხვეს და ამოჭრილი კადრებით უხვად დაასურათეს. ჯუელი სამაგალითო მეოჯახის რეპუტაციის სარგებლობდა. მას მოსიყვარულე მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. ქალბატონი ჯუელის რეაქცია უცნობია. საინტერესო უნდა იყოს "დერბი ქაუნთის" ხელმძღვანელთა კომენტარებიც. მათ გუნდს ცალი ფეხი ქვედა დივიზიონში უდგას. მწვრთნელი კი ამ დროს სამარცხვინო საქმითაა დაკავებული.

## ვილიარეალი ჩემპიონთა ლიგის დასაპყრობად ემზადება

"ვილიარეალის" ხელმძღვანელობა მიმდინარე სეზონში მიღწეული შესანიშნავი შედეგებით ტკბობას არ აპირებს. **ფრანსისკო როიგი** დარწმუნებულია, მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს და თადარიგს აქედანვე იჭერს. "ყვითლების" პრეზიდენტს სჯერა, რომ შემადგენლობის სერიოზულად გაძლიერების შემთხვევაში, მისი გუნდი კვლავ შეძლებს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლას. სწორედ ამ ნათელი მიზნების ხორცშესასხმელად სენიორ როიგმა **კლაუდიო პისაროს** გადაბირება გადაწყვიტა. მან შესანიშნავად იცის, რომ პარაგვაელი "ჩელსიში" ცუდად გრძნობს თავს. კლაუდიოს ის ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევს. სამხრეთამერიკელის მენეჯერი ესპანური კლუბის წინადადებას უმალ გამოეხმაურა. პისარო "ელ მადრიგალზე" სიამოვნებით ითამაშებს, თუმცა მანამდე მხარეები პირობებზე უნდა შეთანხმდნენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბატონი როიგი პარალელურად **ედუსა** და **რუბენ დე ლა რედის** მენეჯერებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ "ვილიარეალი" მართლაც სერიოზულად გაძლიერებას აპირებს.

## ოლეგერს ფატალურად არ უმართლებს

ოლეგერს ბედი არ სწყალობს. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ბარსელონელ მცველს ხელის ორი თითი ჰქონდა მოტეხილი. ამ ტრავმის გამო მას თვენახევარზე მეტი დრო გაუცდა. ოლეგერი, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა და ვარჯიში განაახლა. თუმცა კატალონიელის ბედნიერება მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ოლეგერი ვარჯიშზე უხერხულად დაეცა და ისევ ის თითები მოიტეხა. სასოწარკვეთილმა ფეხბურთელმა ემოციები ვერ მოთოკა და ბავშვივით აქვითინდა. რა თქმა უნდა, ცრემლებით საქმეს არ ეშველებოდა. ექიმებმა პაციენტი ბარსელონის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გააქანეს და ყველა საჭირო პროცედურა ჩაუტარეს. წინასწარი ინფორმაციით, ოლეგერს სულ მცირე კიდევ ერთი თვე მოუწევს იძულებით შესვენებაში ყოფნა. გუშინ მან, ხელახლა დაშავების შემდეგ პირველი მატჩი გამოტოვება. კატალონიელებმა "ვალიადოლიდს" უმასპინძლეს.

სუმო. მარტის ბაშო

# მებრძოლი სული კოკაის, უმაღლესის საგზური ტოჩინოშინს



გადამწყვეტი მომენტი: ასაშორიუ ჰაკუჰოს ამარცხებს

26 წლის ქართველი გოლიათი **ლევან ცაგურია**, რომელსაც სპორტული სამყარო **კოკაის** სახელით იცნობს, ძალიან ახლოს იყოს იმპერატორის თასთან. მან ოსაკას ბაშო მისთვის რეკორდული, 12-3 ბალანსით დაასრულა. ლევანი ხელცარიელი არ დატოვეს, მას კანტო-შო („მებრძოლი სულის" პრიზი) გადასცეს. სხვათა შორის, ეს პრიზი კოკაიმ კარიერაში მეორედ მიილო. ქართველი ფალავანი მხოლოდ ერთ სუმოისტს ჩამორჩა – დიდ ჩემპიონ **ასაშორიუს**, რომელმაც კარიერაში 22-ედ მიილო იმპერატორის თასი.

ახლა ყველაფერი რეიტინგ-ლისტის შემდგენლებზეა – 24 აპრილს კოკაიმ შეიძლება დაიბრუნოს კომუსუბის ტიტული, თუკი. ბანძუკეში მესამე კომუსუბის დაამატებენ. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინათ კოკაიმ 10-5 ბალანსით მე-5 მაეგაშირობიდან კომუსუბის ტიტული მიილო, ახლა კი მან ორით მეტი ორთაბრძოლა მოიგო. თუ ასე არ მოხდა, კოკაი ალმოსავლეთის პირველი მაეგაშირა გახდება.

ბაშოს ბოლო ორ დღეს თითქმის იდენტურად დაამარცხა კოკაიმ მე-13 მაეგაშირა **ჰომაშო** და ოძეკი **კაიო**. უკვე ბოლოსწინა დღეს გახდა ცნობილი, რომ კოკაი იმპერატორის თასისთვის ვერ იბრძოლებდა, რადგან ორივე იოკოძუნამ მოიგო და, რადგან ბოლოს ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, ცხადი გახდა, რომ ჩემპიონს მათი დაჯახება გამოავლენდა. გუშინ, ოსაკის პრეფექტურაში ძალიან მაგარი ორთაბრძოლა გამოუვიდათ დიდ ჩემპიონებს, ასაშორიუმ კოტენაგეს ილეთით დარბაზში მოისროლა თანამემამულე **ჰაკუჰო**.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, მართალია, ძურიოს დივიზიონის ჩემპიონის ტიტული დაკარგა, მაგრამ 9-6 ბალანსით უმთავრეს მიზანს მიაღწია – წესით და რიგით, 24 აპრილს მას მაკუუჩის დივიზიონში ალაზევებენ. ასე რომ, მაისის ბაშოზე (11-25) ქართველებს უმაღლეს დივიზიონში პირველად გვეყოლება ორი ფალავანი. სამწუხაროდ, მაკუშიტას დივიზიონი უარყოფითი ბალანსით (3-4) დაასრულა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რომელსაც რეიტინგში უკუსვლა ემუქრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
9-23 მარტი, ოსაკა (იპონია)

**მაკუუჩი**

XIV დღე: კოკაი-ჰომაშო 1:0 (ჰატაკიკომი), ასაშორიუ-კაიო 1:0, ჰაკუჰო-კოტომიცუკი 1:0, ბარუტო-ჩიოტაიკაი 1:0, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი 1:0, ამა-მიაბიამა 1:0, ტაკეკაძე-ტოიონოშიმა 1:0, კისენოსატო-კიოკუტენჰო 1:0, ამინიშიკი-კაკურიუ 1:0, ასასეკირიუ-ვაკანოჰი 1:0, ტოჩინონადა-ტოკიტენკუ 1:0, ვაკანოსატო-ივაკიამა 1:0, დეჯიმა-ტამაკასუგა 1:0, კაკიძოე-ჰოკუტორიკი 1:0, ტაკამისაკარი-როჰო 1:0.

ბოლო დღე: კოკაი-კაიო 1:0 (ჰატაკიკომი), ასაშორიუ-ჰაკუჰო 1:0 (კოტენაგე), კოტომიცუკი-ჩიოტაიკაი 1:0, ამა-კიოკუტენჰო 1:0, კოტოშოგიკუ- კისენოსატო 1:0, ვაკანოსატო- ტაკეკაძე 1:0, ასასეკირიუ-ამინიშიკი 1:0, ტოკიტენკუ-კაკურიუ 1:0, ბარუტო-მიაბიამა 1:0, ტოიონოშიმა- როჰო 1:0, ვაკანოჰო-ტოჩინონადა 1:0, გოეიდო-კაკიძოე 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: 13-2: ასაშორიუ (იოკოძუნა); 12-3: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოკაი (მაეგაშირა 5), ბარუტო (მ 7); 11-4: ტოჩიოძანი (მ 12) ;10-5: ფუტენო (მ 10), ტაკამისაკარი (მ 11); 9-6: კიოკუტენჰო (მ 4), ჰომაშო (მ 13)

იმპერატორის თასი: ასაშორიუ (იოკოძუნა), 22-ედ.

ბრწყინვალე ასპარეზობა: კოტოშოგიკუ (სეკივაკე), პირველად.

მებრძოლი სული: კოკაი (მაეგაშირა 5), მეორედ.

მებრძოლი სული: ბარუტო (მაეგაშირა 7), მესამედ.

ტექნიკური რიკიში: ტოჩიოძანი (მაეგაშირა 12).

**ძურიო**

XIV დღე: ტოჩინოშინი-საგაცუკასა 1:0 (ოშიდაში), ტოიოძაკურა-ჰოშიჰიკარი 1:0, კიმურაიამა-ტოსანოუმი 1:0, შიმოტორიკორიუ 1:0, ჰაკუბა-უშიომარუ 1:0.

ბოლო დღე: ტოჩინოშინი-ტამავაში 0:1 (კოტენაგე), ტოსანოუმი-ჰოჩიამა 1:0, კიმურაიამა-ჰაკუბა 1:0, კიტატაიკი-ტამანოშიმა 1:0, ჰაკუროძანი-შირონონამი 1:0.

საბოლოო მდგომარეობა. 12-3: კიმურაიამა (ძურიო 14); 11-4: კიტატაიკი (ძ 10); 10-5: ტოსანოუმი (ძ 1), ტამანოშიმა (ძ 5); 9-6: ტოჩინოშინი (ძ 4), ტამავაში (ძ 7), მასაცუკასა (ძ 9).

ჩემპიონი: კიმურაიამა (ძურიო 14) პირველად.

**ჩემპიონები სხვა დივიზიონებში**

მაკუშიტა: დაიუბუ (მაკუშიტა 4), 7-0.
სანდანმე: მასუნოიამა (სანდანმე 46), 7-0.
ჯონიდანი: ტერუკაძე (ჯონიდანი 7), 7-0.
ჯონოკუჩი: ფუკაო (ჯონოკუჩი 26), 7-0.



კოკაი (მარცხნიდან მეორე) მებრძოლი სულისთვის განკუთვნილი პრიზით



იმპერატორის თასი ასაშორიუს

ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. U-20

# იტალიის დამარცხება შეიძლებოდა

ესპანეთის ქალაქ ლუგოში დამთავრდა ევროპის 20-წლამდელ ხელბურთელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეოთხე ჯგუფის მატჩები. პირველ დღეს სლოვაკებთან დამარცხების (21:35) შემდეგ, შაბათს ჩვენი ხელბურთელები მასპინძლებს დაუპირისპირდნენ. ესპანეთი ევროგრანდია და ის ანგარიში, რითაც პირენეელებმა გვძლიეს, ალბათ, ზუსტად ასახავს იმ უფსკრულს, რომელსაც საქართველოსა და წამყვან სახელბურთო ქვეყნებს შორის აქვს ხახა დაღებული. მასპინძლებმა საწყის 30 წუთში მხოლოდ 4 გოლს დაგვაჯერეს (16:4), საბოლოოდ კი 34:14 გვძლიეს.

შაბათსვე, იტალიელები სლოვაკებთან განადგურდნენ და ისინიც ჩვენსავით ჯგუფში ჩარჩნენ. შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატზე თამაში გაინაღდეს ესპანელებმა და სლოვაკებმა. ამდენად, ბოლო დღის მატჩებს მხოლოდ სტატისტიკური ინტრიგალა შემორჩა.

გუშინდელი საქართველო - იტალია ორივე უქულო გუნდისთვის ოდენ პრესტიჟის მატჩი იყო. იტალიელებს ჩვენზე 4 ბურთით ნაკლები ჰქონდათ გაშვებული და ფრეც ჰყოფნიდათ მესამე ადგილისათვის, ჩვენ კი მხოლოდ გამარჯვება გვჭირდებოდა. აპენინელებს ჩვენზე გაცილებით კარგი პირობები კი აქვთ, მაგრამ ნიჭით თუ არ ვჯობნით, არც ჩამოვუვარდებით, რაც გუშინდელმა შეხვედრამაც დაგვანახა.

პირველი ტაიმი გიორგი ქობელაშვილის შეგირდებმა 13:11 მოიგეს. მეორე ტაიმში კი თავი იჩინა საქართველოს ნაკრების მოკლე სათადარიგოთა სკამმა და ტრადიციულმა ქართულმა სენმა - ფიზმომზადების უკმარისობამ. გუნდის გამოკვეთილი ლიდერი **რატი მსხვილიძე** ჯანზე რომ ყოფილიყო და ესპანეთში ჩასულიყო, წესით იტალიელები უნდა დაგვემარცხებინა. თუმცა ვარაუდებზე მყარი ტაბლოა, რომელზეც საბოლოოდ 23:22 დაეწერა იტალიის სასარგებლოდ და ბოლო ადგილზე დავამთავრეთ ტურნირი...

ახლა ჯერი 18-წლამდელთა ნაკრებზეა, რომელიც ანალოგიურ საკვალიფიკაციო ეტაპზე 9-11 მაისს იბურთავებს ხორვატიის ქალაქ პულაში. მასპინძლების გარდა, ჩვენი 18-წლამდელები ნორვეგიელებსა და ბელგიელებთან ერთად იბრძოლებენ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად.

ლეგიონერი

# დათუკაშვილმა ბელარუსს 7 გაუტანა

ევროპულ ხელბურთში სანაკრებო ბატალიების გამო, ეროვნული ჩემპიონატების მატჩები დროებით შეჩერებულია. თუმცა გუნდები უქმად არ კარგავენ დროს და ამხანაგური მატჩებით ცდილობენ მუხტის შენარჩუნებას.

მათ შორისაა **სერგო დათუკაშვილის** ბუნდესლიგური "ლიუბეკე". გერმანიაში მყოფმა ბელარუსის ნაკრებმა "ლიუბეკესთან" საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. პოსტსაბჭოელებმა 31:27 მოუგეს გერმანელებს...

თუკი ბოლო ოფიციალურ შეხვედრებში დათუკაშვილს მწირგოლიანობის ხანა ედგა, ბელორუსებთან თავი გამოიდო და 7 გოლი გატანა, რითაც თანაგუნდელებს შორის საუკეთესო იყო.

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# რუსებს ორი ლიდერი დარჩათ გასარკვევი




ადრე გაცნობეთ, რომ რუსეთის ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა **სერგეი ტაბაკოვმა** ოთხი მოჭიდავე დაასახელა, რომლებსაც 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე უეჭველად წაიყვანდა: ევროპის ჩეპიონი **რუსლან კიშმახოვი** (60), **ალიმ გადანოვი** (66), ევროპის ჩემპიონი **სალამუ მეჟიდოვი** (73), ევროპის 4-ზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ტამერლან ტმენოვი** (+100). გუშინ ადლერში შეკრებაზე მყოფმა ტაბაკოვმა ნაკრების კიდევ ერთი წევრი დაასახელა: ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ივან პერშინი** (90). ახლა გასარკვევი მხოლოდ 81-ის და 100-ის ლიდერებია. 81-ში ნაკრებში მოსახვედრად **ალიმბეკ ბაშკაევი** და **სირაზუდინ მაგომედოვი** იბრძვიან. შეგახსენებთ, რომ მაგომედოვი თბილისის წლევანდელი ტურნირის გამარჯვებულია, ბაშკაევი - ბრინჯაოს პრიზიორი. სამაგიეროდ, ბაშკაევმა მოგვიანებით პარიზის სუპერთასი მოიგო, როცა ფინალში ჩვენი **გიორგი ბაინდურაშვილი** დაამარცხა. აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ბაინდურაშვილმა თბილისის ტურნირზე მაგომედოვთანაც წააგო ნახევარფინალში.

რაც შეეხება 100-ს, იმავე წყაროს ცნობით, აქ სამი პრეტენდენტია: ევროპის ჩემპიონი **რუსლან გასიმოვი, აშხაბ კოსტოევი** და **ასლან უნაშხოტლოვი**. ტაბაკოვის თქმით, საბოლოო შემადგენლობას 28 მარტს დაასახელებს.

აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **ნესტორ ხერგიანი (60), ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), გიორგი ბაინდურაშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ჭორჭოლიანი (100), ლაშა გუჯეჯიანი (+100)**. ნაკრები რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა ბორჯომიდან, სადაც ევროპირველობისთვის მოსამზადებელი მეორე შეკრება გაიარა, 26-ში ისევ ბორჯომს მიაშურებს დასკვნითი შეკრებისთვის. ისინი კვლავაც ნაცნობ ბაზაზე - სპორტკომპლექს "ოლიმპში" დაბინავდებიან, სადაც ასევე კონტინენტის პირველობებისთვის მოსამზადებლად მოჭიდავეთა გუნდებიც იმყოფებიან. სამი ნაკრებისთვის იქაური დარბაზი აშკარად პატარაა, მაგრამ ერთი შეღავათი ისაა, რომ "თავისუფლები" 28-ში უკვე მოდიან იქიდან. ნაკრები ევროპის პირველობისთვის გეგმაზომიერად, ყოველგვარი გართულებების გარეშე ემზადება. ერთადერთი, ბოლო შეკრებაზე გუჯეჯიანმა დაიზიანა კოჭი, მაგრამ ტრავმა საშიში არაა და ლისაბონში წასვლამდე გამოჯანმრთელებას იმედოვნებენ.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ საოლიმპიადოდ სრულად დაკომპლექტებული გუნდი ევროპიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორია: საქართველო და რუსეთი.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორლანდოს ჯადოსნური ჯოხი ატლანტამ გადაიბარა




ზაზა ფაჩულია

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" დივიზიონის ლიდერ "ორლანდო მეჯიქს " (46 გამარჯვება, 26 წაგება) შინ 98:90 მოუგო. შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ ამ გამარჯვებას ოქროს ფასი დაედოს. საქმე ისაა, რომ ჯორჯიელებმა "ორლანდოს" ძლევით აღმოსავლეთის კონფერენციაში მეცხრედან მერვე ადგილზე აინაცვლეს და ახლა ზედიზედ ორი მატჩიც რომ წააგონ, მეცხრეადგილოსანი "ნიუ ჯერსი" მაინც ვერ დაეწევათ. სადღეისოდ "ჰოქსს" 30 მოგება და 39 წაგება აქვს, ხოლო "ჯერსისა" და "ინდიანას" 29-29 მოგების წილ - 41 წაგება.

მორიგ მატჩს "ატლანტა" ჩიკაგოში ადგილობრივ "ბულზთან" 25 მარტს გამართავს.

ახლა ზაზა ფაჩულიას გამოსვლაზე. მან თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ 13 წუთი ითამაშა, 4-დან 1 ორქულიანი, 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას 3 მოხსნა და 4 შეცდომა შეუფარდა. გამარჯვებაში ლომის წილი ჯო ჯონსონმა დაიდო - 34 ქულა, 7 პასი, ხოლო ახალწვეულმა მაიკ ბიბიმ 20 ქულა და 8 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალი იკმარა

17 წლის ოქსანა კალაშნიკოვამ ეგვიპტის ქალაქ სუეცში 10-ათასიანი ტურნირის ნახევარფინალში გააღწია, მეოთხედფინალში მან რუს **გალინა ფოკინას** აჯობა – 7:5, 6:2. ნახევარფინალში ოქსანას მეტოქე თანატოლი რუმინელი **ირინა ბეგუ** იყო, რომელთანაც ერთად ახალგაზრდულ ასპარეზზე წყვილში უთამაშია. სამწუხაროდ, რუმინელის უპირატესობა თვალსაჩინო იყო – 4:6, 3:6. კაიროში კიდევ ერთი ტურნირი გაიმართება, რომლის ძირითად ბადეში ოქსანა და **მანანა შაფაქიძე** ითამაშებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ვეტერანი ჰოკეისტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ჰოკეის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე, შემდეგ მწვრთნელი

**ომარ დონაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კალათბურთი. საქართველოს XVI ჩემპიონატი. XXII ტური

# დინამო, NBA-ს ჩემპიონი

**21 მარტი. რუსთავი**

**ენერჯი–თსუ 95:78**

20:18, 23:22, 25:26, 27:12

ენერჯი: გამყრელიძე (22ქ, 8მ, 12პ), ბაბიაშვილი (14ქ, 7მ), სტეფანოვი (15ქ, 10მ), ბოისა (6ქ), დიდია (1ქ), ლეჟავა (22ქ, 4პ), გოგობერიშვილი (5ქ), ტუჯანი (6ქ, 5მ), ჭოჭუა (4ქ), ჩიტაშვილი

თსუ: არწივიძე (3ქ), ფანჩულიძე (6ქ, 9პ), დ. ბერიშვილი (18ქ, 5მ), ბარბაქაძე (18ქ, 5მ, 4პ), კოხრეიძე, ყველაშვილი (7ქ), კეიდია (12ქ, 5მ), ხეცურიანი (13ქ, 10მ), ტყეშელაშვილი (1ქ, 5მ), ბ. ნოზაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

**23 მარტი**

თბილისი, სპორტის სასახლე

**ავიამშენი–დინამო 109:82**

22:15, 28:27, 28:23, 31:17

ავიამშენი: ბერაია (2ქ), ნიკოლაძე (21ქ), ხოშტარია (7ქ, 7მ, 5პ), კვიმსაძე (6ქ, 8მ, 3პ, 3ჩ), ტულუში (21ქ, 6მ, 13პ), იმნაძე (6ქ, 5მ, 2დ), ნინიაშვილი (11ქ), მათიაშვილი (7ქ, 7მ, 4დ), მინაშვილი (28ქ)

დინამო: გულისაბედაშვილი (8ქ, 6მ), ნანიტაშვილი, ჟღენტი (18ქ, 9მ), ლაფანაშვილი (16ქ, 6მ, 3პ), სიგუა, მაისურაძე (7ქ), ახალკაცი (2ქ), ფაიქრიძე, სანიკიძე (31ქ, 7მ, 3ჩ, 2დ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ, მიქელაძე

**ვითა–მაკაბი 94:80**

24:15, 27:16, 15:23, 28:26

ვითა: ძიძიგური (3ქ), ნ. ნოზაძე (17ქ, 8პ), ბეჟანიშვილი (2ქ, 3პ, 6მ), მ. ბერიშვილი (21ქ, 9მ, 3ჩ, 3დ), მარხვაშვილი (10ქ, 4პ), მარკოიშვილი (5ქ), ბერძენიშვილი, გვიმრაძე (26ქ), ცერცვაძე (2ქ), ლ. ნოზაძე (8ქ, 6მ, 3დ)

მაკაბი: ი. ბერშვილი (5ქ, 3პ), ახმედიანი (5ქ), სორდია (13ქ, 9მ, 6პ), ს. შერმადინი (22ქ, 20მ), იოსელიანი (4ქ), პირველაშვილი (11ქ), კორკოტაძე (2ქ), კოლუაშვილი (18ქ, 9მ, 6პ), ჯიქია, გაგლოშვილი

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 22 | 18 | 4 | 40 |
| 2. თსუ | 22 | 12 | 10 | 34 |
| 3. ავიამშენი | 22 | 12 | 10 | 34 |
| 4. ვითა | 22 | 11 | 11 | 33 |
| 5. დინამო | 22 | 9 | 13 | 31 |
| 6. მაკაბი | 22 | 4 | 18 | 25 |

22-ე ტური რუსთავის "აზოტის" დარბაზში გაიხსნა. ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონატის ორი ლიდერი დაუპირისპირდა ,პირველადგილოსანი "ენერჯი" და მეორეადგილოსანი თსუ. ორივე გუნდს თავისი ანგარიში ჰქონდა: რუსთაველებს სეზონის პირველი და მეორე წაგებები სწორედ თსუ-ელებმა აგემეს. მოტივაცია არც თსუ-ს აკლდა - ფლეი ოფში მოსახვედრად მას ჰაერივით სჭირდება მოგებები.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, რუსთავში თანაბარი თამაში გაჩაღდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ის სცენარი განვითარდებოდა, რაც ამ გუნდების წინა დაპირისპირებებში - გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებს უნდა გამოერკვია.

...მაგრამ მეოთხე პერიოდის შუაში, მაშინ, როცა ანგარიში მასპინძელთა სასარგებლოდ 78:72 იყო, რუსთაველებმა ლეჟავა-ბაბიაშვილის ზუსტი თამაშის წყალობით 12:0 გაქცევა მოაწყვეს და 90:72 დაწინაურდნენ. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა...

მატჩში სამი ორმაგი დუბლი დაფიქსირდა. თსუ-ელმა შიო ხეცურიანმა 13 ქულას 10 მოხსნა მიამატა, რუსთაველთა სერბმა ფორვარდმა **იოვან სტეფანოვმა** 15 ქულა და 10 მოხსნა ჩაიწერა, ხოლო მასპინძელთა გამთამაშებელ **ლაშა გამყრელიძეს** სამმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა: 22 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა.

მომდევნო მატჩებში თავი გამოიჩინეს **ვახტანგ მინაშვილმა** (28 ქულა), **კოტე ტულუშმა** (21 ქულა, 13 პასი) და **დავით გვიმრაძემ** (26 ქულა), მაგრამ ტურის საუკეთესო "ენერჯის" უკანახაზელი ლაშა გამყრელიძე დასახელდა.

კვირას სპორტის სასახლეში 22-ე ტურის დარჩენილი ორი შეხვედრა გაიმართა, "დინამო" "ავიამშენს" დაეჭიდა, ხოლო "ვითა" - "მაკაბის".

ტურის ცენტრალურ შეხვედრად "ვითა"-"მაკაბის" დაპირისპირება მოინათლა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ის პირდაპირ ეთერში გადასცა, თუმცა გიორგი შერმადინის გარეშე დარჩენილმა "მაკაბიმ" მხოლოდ ის მოახერხა, რომ პირველ ტაიმში "ვითას" 20-ქულიანი უპირატესობა 13:0 სპურტით 7 ქულამდე (52:59) შეამცირა, მაგრამ ბოლომდე ვერც მისი შენარჩუნება მოახერხა და საფინალო სირენამ "ვითას" 14-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა - 94:80.

აქვე ნებისმიერ მკითხველს გაუჩნდებოდა კითხვა - რა იქნა გიორგი შერმადინი? მოედანზე "მაკაბის" 9-ნომრიანი მაისურით კალათბურთელი კი დარბოდა, მაგრამ იგი **გიორგი შერმადინი** არ გახლდათ. გოგიტა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა, სადავო გდება მოიგო და მოედნიდან მაშინვე გავიდა. თან თავისი მაისური საზეიმო ვითარებაში გაიხადა და ძმას, სოსოს გადააბარა.

გიორგის სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის მიზეზი ადგილობრივმა დიქტორმა გვამცნო: დღეს გიორგი შერმადინი ამერიკაში, წინასადრაფტო ვარჯიშებზე გაემგზავრება. ხოლო ივნისის დრაფტის წინ იტალიურ ტრევიზოში გასამართ კემპში მიიღებს მონაწილეობას.

ასე და ამგვარად, შერმადინმა საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატი საშუალოდ 33 ქულითა და 18 მოხსნით დაასრულა. თითქოს ძმისგან სტატისტიკის სიყვარული გადაედოო, სოსომ გუშინ ერთბაშად 22 ქულა და 20 მოხსნა მოაგროვა.

ტურის ცენტრალურ მატჩობას უთუოდ "დინამო"-"ავიამშენის" დაპირისპირება იმსახურებდა. მართალია, დილმელებმა 82:109 დათმეს, მაგრამ ეს შეხვედრა მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იყო.

პირველ მეოთხედში გუნდებმა თამაში ერთმანეთის დაზვერვას მოანდომეს, თუმცა შეტევაში უკეთესად "ავიამშენი" გაისარჯა და 22:15 დაწინაურდა. მეორე ათწუთეულში "დინამომ" **არჩილ ჟღენტის** სამი სამქულიანით სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა, ხოლო **ვიქტორ სანიკიძემ** ორი ზუსტი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა - 35:35. ამის შემდეგ გახშირდა "დინამოს" თავკაცის **ზაზა ცაგარეიშვილის** შეძახილები - კუთხეს მიხედეთო, მაგრამ "ავიამშენი" ისე კარგად ატრიალებდა ბურთს, რომ დინამოელები მეტოქეს თავისუფლად სწორედ მოედნის კიდესთან ტოვებდნენ. შესაბამისად, გიორგი ნიკოლაძემ ერთმანეთს ორი სამქულიანი მიაყოლა და პირველი ტაიმი "ავიამ" 50:42 მოიგო.

შესვენებაზე "დინამოს" ერთ-ერთმა პატარა ქომაგმა მკითხა: "დინამოში" დანკანი, ნოვიცკი, ენტონი, აივერსონი და მინი რომ თამაშობდნენ, "ავიას" ხომ მოუგებდა? ასეთ კითხვაზე პასუხი ყოველთვის სასიამოვნოა: "ავიამშენსაც" აჯობებდა, საქართველოს ჩემპიონატსაც მოიგებდა და NBA-საც. პატარა გულშემატკივარი პირველ ორ საკითხში დავაჯერე, ხოლო "დინამოს" მიერ NBA-ს ჩემპიონობა ვერ ირწმუნა.

მეორე ტაიმში ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებმა თამაში ვერა და ვერ ააწყვეს. მაგალითად, ახალკაცმა 5 ფოლის გამო მოედანი ისე დატოვა 6-დან ვერც ერთი ორქულიანი ვერ ჩააგდო, გულისაბედაშვილმა ოთხივე სამქულიანი ააცილა, ხოლო არჩილ ჟღენტმა 8-დან მხოლოდ 2 ორქულიანი გამოიყენა. "ავიას" მხრიდან შეტევაში არავის უჭირდა, კრიტიკულ მომენტში ნიკოლაძე, ტულუში და მინაშვილი შესაშურ სიზუსტეს იჩენდნენ და საბოლოოდ დამსახურებულადაც გაიმარჯვეს - 109:82.

"ავიამ" "დინამოს" ფარქვეშაც აშკარად აჯობა - 51 მოხსნა 34-ის წინააღმდეგ.

აქ წერტილის დასმა და მიმოხილვის დასრულება არ შეიძლება. შეგახსენებთ, რომ დარბაზში ჟურნალისტი იმიტომ ზის, რომ იქ მომხდარი ამბები ობიექტურად და სრულად გადმოსცეს. ჰოდა, ჩვენი მიმოხილვა სრული რომ იყოს, უნდა დავწეროთ "დინამოს" მწვრთნელის, ზაზა ცაგარეიშვილის სამსაჯო მაგიდისადმი მიმართვა: "ავიამშენის" კალათბურთელს წესები არ დაურღვევია, ჯარიმა რატომ მისცეს? ახლა რაღად გვინდა ჯარიმა, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, პირიქით, სტვენდნენო...

მწვრთნელს კომისარმა გაჩუმებისკენ მოუწოდა და სამართლიანი რეპლიკა მიიღო - სულ გაჩუმებულები რომ ვართ, ამ დონემდე იმიტომ დავეშვითო...

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "დინამოს" დამარცხებაში, პირველ რიგში, სწორედ "დინამოა" დამნაშავე, მაგრამ მსაჯობის საკითხი უფროსობის მხრიდან სერიოზულ მიხედვას საჭიროებს. როგორ შეიძლება ყოველი დაძაბული მატჩის შემდეგ ესა თუ ის გუნდი არბიტრებზე იყოს გაბრაზებული? ზაზა ცაგარეიშვილის დარად 22-ე ტურში მსაჯებზე თსუ-ს მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილიც გულმოსული გახლდათ.

ამიერიდან ხომ ყველა მატჩი დაძაბული იქნება... მაგალითად, მომავალ უქმეებზე ერთმანეთს ორი "მოსისხლე" მტერი "ვითა" და "დინამო" დაეჭიდებიან.



დავით უსტიაშვილი წუთშესვენებაზე

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ანონსი

**96 წლის წინათ, 1912 წლის 26 მარტს, თბილისში გაიმართა პირველი საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი. საქართველოს ინგლისის გუნდი სტუმრობდა. წერილს ამ საინტერესო მატჩის შესახებ "ლელოს" ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.**

რაგბი. ლეგიონერები

# ქულა პირველ ადგილამდე


სტად ფრანსე-ტულუზი 29:0

საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში ქართველი მორაგბეების, **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონს" ლიდერობის შანსი გაუჩნდა. ერთპიროვნული ლიდერი "ტულუზი" სტუმრად 0:29 დამარცხდა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ "სტად ფრანსესთან" და "ვულკანებს" ახლა მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს.

"კლერმონმა" გასვლით შეხვედრაში **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** "მონპელიე" გაანადგურა 56:14. ამ შეხვედრაში 56-ე წუთზე თავისი მორიგი ლელო გაიტანა დავით ზირაქაშვილმა, რომელიც თამაშში მე-18 წუთიდან ჩაერთო. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს. "მონპელიეს" რიგებში გორგოძე 56-ე წუთზე გამოჩნდა. ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო.

კვლავ აგრძელებს დაუმარცხებელ სერიას **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი", რომელმაც ამჯერად შინ დაამარცხა "მონტობანი" 21:7. აქვსენტი განაცხადში არ იყო. შინ გაიმარჯვა მისი ძმის, **ირაკლი გიორგაძის** "დაქსმაც" 11:6 **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონთან" შეხვედრაში. ირაკლი ტრავმირებულია, კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

მშრალი ანგარიშით წააგეს გასვლითი შეხვედრები **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივმა" და **მამუკა მაგრაქველიძის** "ოშმა". პირველმა "ბიარიცთან" ვერაფერი გააწყო 0:10, "ოშმა" კი "ბურგუენთან" წააგო 0:36. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XV ტური. ბიარიცი-ბრივი 10:0, პერპინიანი-ალბი 45:7, ბურგუენი-ოში 36:0, კასტრი-მონტობანი 21:7, დაქსი-ბაიონი 11:6, მონპელიე-კლერმონი 14:56, სტად ფრანსე-ტულუზი 29:0.

1. ტულუზი - 58 ქულა, 2. კლერმონი - 57, 3. სტად ფრანსე - 44, 4. ბიარიცი - 41, 5. პერპინიანი - 40, 6. კასტრი - 40, 7. მონტობანი - 35, 8. ბურგუენი - 34, 9. ბაიონი - 33, 10. მონპელიე - 30, 11. ბრივი - 27, 12. ალბი - 25, 13. დაქსი - 20, 14. ოში - 20

**მეორე დივიზიონის ცხრილის სათავეში არაფერი იცვლება. გია ლაბაძის "ტულონმა" სტუმრად "ბორდოს" სძლია 20:8 და მდევართაგან ჯერაც მიუწვდომელია. ლაბაძეს ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.**

ისევ მოიგო მეორეადგილოსანმა **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანმაც", ამჯერად შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ "ლიმოჟთან" 19:12. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. სტუმრად "ბეზიესთან" წააგო **ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენმა" 9:25. ანტონი თამაშში 53-ე წუთზე ჩაერთო.

ასევე სტუმრად დამარცხდა "ლიონთან" **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიაკი" 9:28. მახომ ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და მე-40 წუთზე ისევ ტრავმის გამო შეცვალეს. თავიდან ბოლომდე ითამაშა "ნარბონის" შემადგენლობაში **გიორგი კუთარაშვილმა**. ნარბონელებმა სტუმრად სძლიეს **ლევან ლვაბერიძის** "გრენობლი" 13:6. ლვაბერიძე განაცხადში არ იყო. განაცხადში ამჯერადაც ვერ მოხვდა **მერაბ კვირიკაშვილი**. მისმა "პომ" კი სტუმრად გაიმარჯვა "ტარბთან" 8:3.

II დივიზიონი. XX ტური. ბეზიე-აჟენი 25:9, ლიონი-ორიაკი 28:9, მონ დე მარსანი-ლიმოჟი 19:12, ბორდო-ტულონი 8:20, ტარბი-პო 3:8, გრენობლი-ნარბონი 6:13, ბლანიაკი-ლა როშელი 13:24, ოიონაქსი-მეტრო რასინგი 21:18

1. ტულონი - 71 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 64, 3. ბეზიე - 59, 4. მეტრო რასინგი - 57, 5. ლა როშელი - 54, 6. აჟენი - 52, 7. გრენობლი - 49, 8. ლიონი - 48, 9. ორიაკი - 46, 10. პო - 45, 11. ოიონაქსი - 44, 12. ნარბონი - 43, 13. ბორდო - 33, 14. ტარბი - 26, 15. ლიმოჟი - 22, 16. ბლანიაკი - 20

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ერთა თასი

| 22 მარტი. ბუქარესტი | |
|---|---|
| რუმინეთი-ჩეხეთი | 76:7 |

რუმინეთი: (15-9) ვლაიკუ, მარინი, ფერკუ, ვლადი, ჩუნტუ, დიმოფტე, კალაფეტეანუ; (1-8) მიჰაიტა, ზებეგა, ბასალაუ, კოსტე, ურსაკე, მაკოვეი, ბურია, მერსოიუ (16-22) რადოი, დობრე, სირბე, კარპო, კაპლესკუ, დემბრავა, ბიჯუ - *11 ლ (ჩუნტუ (3), ფერკუ (2), დიმოფტე, ბასალაუ, ვლაიკუ, მაკოვეი, მერსოიუ, ბიგოუ); 9 გ (ვლაიკუ 8, დუმბრავა); ა (ვლაიკუ)*

ჩეხეთი: (15-9) იურშიკი, კოდერა, კოლარი, კმბრდა, როპლიკი, კრეჟჩი, სიროვი; (1-8) შუსტერი, ოსვალდი, ფაიკუში, ნემეჩეკი, მახაჩეკი, ბლაპა, კუჩერა, ბურიანეკი - (16-22) კუტილი, შკალი, პელერი, ჩერნი, ჟირმანი, ვოკრუპლიკი, რუდოლფი - *ლ (შუსტერი); გ (ვოკრუპლიკი)*

მსაჯი: სტეფანო მანჩინი (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | +125 | 14 |
| 2. საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| 3. რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +133 | 12 |
| 4. პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5. ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| 6. ჩეხეთი | 8 | 0 | 0 | 8 | -372 | 0 |

**29 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**
რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**
ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**
საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**
ესპანეთი-პორტუგალია

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. U-18

# მეექვსე საფეხურზე

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა მე-5 ადგილისთვის შეხვედრაში რუმინელ თანატოლებთან უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და მინიმალური ანგარიშით 5:6 დამარცხდა. პატარა ბორჯღალოსნებმა თამაშის დასაწყისშივე ლელო გაიტანეს და 5:0 დაწინაურდნენ. მოწინააღმდეგემ ანგარიშის შემცირება ტაიმის მიწურულს შეძლეს საჯარიმო დარტყმით 3:5.

ეს ანგარიში თითქმის თამაშის ბოლომდე შენარჩუნდა. მეორე ტაიმის ნახევარზე მეტი კი ჩვენმა ნაკრებმა კაცნაკლულმა ითამაშა. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი რუმინელებმა კიდევ ერთი საჯარიმოიც გაიტანეს და საქართველოს ნაკრები მე-6 ადგილს დააჯერეს.

ელიტის დატოვება ესპანეთის ნაკრებს მოუწევს, რომელიც მე-7 ადგილისთვის მატჩი რუსეთის გუნდთან დამარცხდა - 7:12. ჩემპიონის ტიტული კი ფრანგებმა ირგუნეს, მათ ფინალში ირლანდიას სძლიეს 12:5. ინგლისმა კი მასპინძელი იტალიელები დაამარცხა 21:5 და მესამე ადგილს დასჯერდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| VII ადგილისთვის | |
|---|---|
| რუსეთი-ესპანეთი | 12:7 |
| **V ადგილისთვის** | |
| რუმინეთი-საქართველო | 6:5 |
| **III ადგილისთვის** | |
| ინგლისი-იტალია | 21:5 |
| **ფინალი** | |
| საფრანგეთი-ირლანდია | 12:5 |

1. საფრანგეთი, 2. ირლანდია, 3. ინგლისი, 4. იტალია, 5. რუმინეთი, 6. საქართველო, 7. რუსეთი, 8. ესპანეთი.

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები

# ნახევარფინალის დროც დადგა

**მეოთხედფინალი:**

მიხეილ მჭედლიშვილი-ხვიჩა სუპატაშვილი
0,5:0,5; 0,5:0,5; 0:1; 1:0; 0:1; 1:0; 1:0=4:3

გიორგი მარგველაშვილი-დავით არუთინიანი
0,5:0,5; 0,5:0,5; 1:0; 1:0=3:1

დავით ჯოჯუა-ლევან ფანცულაია
0,5:0,5; 0:1=0,5:1,5

დავით მალალაშვილი-კონსტანტინე შანავა
0,5:0,5; 0,5:0,5; 0,5:0,5 0:1=1,5:2,5

შაბათ-კვირას საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატზე მეოთხედფინალები დასრულდა და გაირკვა ოთხეული, რომელიც მესამე ადგილისთვის და ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. შაბათს მეოთხედფინალის მეორე პარტიები გათამაშდა. გემახსოვრებათ, პირველ დღეს ყველა შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ბევრად განსხვავებული ამ კუთხით კვირაც არ გამოდგა - მხოლოდ **ლევან ფანცულაიამ** შეძლო თეთრებით გამარჯვების მიღწევა - **დავით ჯოჯუას** მოუგო. ლევანმა მაღალი კლასის ხარჯზე, დებიუტიდანვე შეიქმნა საჭირო ფორპოსტი და მცირე პოზიციური უპირატესობის დიდში გადაზრდა მოახერხა.

ყაიმების მიუხედავად, მოსაწყენად მცირერიცხოვან მაყურებელს არ ეცალა; მხოლოდ **მარგველაშვილი-არუთინიანის** პარტია დასრულდა სწრაფად. **კონსტანტინე შანავასა** და **დავით მალალაშვილის** შეხვედრისთვის თვალის დევნება შედარებით მეტხანს მოგვიხდა. ყველაზე დიდხანს და საინტერესოდ კი **სუპატაშვილი-მჭედლიშვილის** შეხვედრა წარიმართა. მათი დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, ტურნირის მშვენება იყო - მაღალი დონის ჭადრაკთან ერთად, საკმაოდ ცვალებადი ინიციატივით გაჯერებული პარტიებიც ვიხილეთ და ჯერჯერობით ერთადერთი შეხვედრა გამოდგა, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად ყველა დამატებითი პარტიის გამართვა გახდა საჭირო - თვით "არმაგედონის" ჩათვლით.

შაბათს სუპატაშვილმა შესანიშნავად გაათამაშა დებიუტი, დიდი უპირატესობაც მიიღო და სულ მალე ხარისხიც მოინადირა. მჭედლიშვილი მარცხის წინაშე დადგა და ყველანაირად ეცადა, კონტრთამაში მიეღო. თეთრებმა, იმის ფიქრში, რომ გამოკვეთილ უპირატესობას ფლობდნენ და მოსაგებად ტექნიკური მხარის მოგვარებაღა დარჩენოდათ, ყურადღება მოადუნეს და მეტოქეს კონტრთამაშის საშუალება მისცეს. ინიციატივის დაკარგვამ სუპატაშვილი ჩააფიქრა და აღმოჩნდა, რომ შეიძლებოდა წაეგო კიდეც. ამის თავიდან ასაცილებლად ჯერ ხარისხის დაბრუნება მოუწია და შემდეგ ყრუ დაცვაში ჩადგომა.

მჭედლიშვილმა აშკარად მოსაგები პოზიცია მიიღო, მაგრამ დაბოლოებაში ისიც შეცდა, მცდარი გეგმა აირჩია და მეტოქეს თავის დაცვის საშუალება დაუტოვა. დრამატიზმით დახუნძლული პარტია საბოლოოდ ყაიმით დასრულდა.

კვირას, ტაი-ბრეიკებისთვის დაფას სამი წყვილი მიუჯდა: **მარგველაშვილი-არუთინიანი, მალალაშვილი-შანავა** და **მჭედლიშვილი-სუპატაშვილი**. პირველი ორი წყვილიდან მოგება ვერცერთმა შეძლო, მესამეში კი მოულოდნელი დასაწყისი ვიხილეთ: თეთრებით მოთამაშე სუპატაშვილმა დებიუტში მარტივი შეცდომა დაუშვა და ლაზიერი დაკარგა; შესაბამისად წააგო კიდეც. შავებით ანგარიშის გათანაბრება ურთულესი საქმეა და ასეთი ხელმოცარვის შემდეგ რამდენად შეძლებდა ხვიჩა მობილიზებას, ან შეძლებდა თუ არა საერთოდ, საკითხავი იყო. პესიმისტებს სათქმელი ნახევარ საათში ვაუქრო სუპატაშვილმა და მშვენიერ სტილში მოიგო.



მეორე პარტიაში იმარჯვა შანავამაც, ნახევარფინალში გავიდა და იქ **ლევან ფანცულაიასთან** მოუწევს ფინალის საგზურისთვის ბრძოლა. მარგველაშვილმა და არუთინიანმა მეორე 25 წუთიანიც ყაიმით დაასრულეს და ხუთწუთიანებისთვის მოემზადნენ.

უნდა ითქვას, რომ ამ წყვილში ფავორიტად არუთინიანი ითვლებოდა, მაგრამ ახალგაზრდა მარგველაშვილმა, რომელიც ბოლო დროს ჭადრაკს არცთუ დიდ დროს და ყურადღებას უთმობს, პროგნოზების საპირისპირო შედეგი მიიღო: ორჯერვე აჯობა საქართველოს ნაკრების წევრს და დამსახურებულად გავიდა მომდევნო ეტაპზე.

მჭედლიშვილი-სუპატაშვილის დუეტში კი კვლავ გაგრძელდა უცნაურობები: მიხეილი ასაკითაც უმცროსია, რეიტინგითაც ბევრად ჯობნის სუპატაშვილს და წოდებაც უფრო მაღალი აქვს - დიდოსტატია, როცა ხვიჩა მხოლოდ საერთაშორისო ოსტატია. თანაც მჭედლიშვილი ბლიცების სპეციალისტად ითვლება და ხვიჩა მატჩის წინ ამბობდა - ბლიცებამდე თუ მივედით, შანსი არა მაქვსო. მთლად ასეც არ ყოფილა საქმე: სუპატაშვილმა პირველი ხუთწუთიანი შეხვედრა შავებით მოიგო და უკვე მერამდენედ დადგა საბოლოოდ გამარჯვების წინაშე, - თეთრებით ყაიმი სჭირდებოდა, რაც მისი სადებიუტო არსენალის მქონესთვის არ უნდა გამხდარიყო რთული საქმე. სამწუხაროდ, ხვიჩამ აბსოლუტურად გაუმართლებელი სტრატეგია აირჩია - პაიკი შესწირა დებიუტში, შემდეგ სწორადაც ვერ განავითარა შეტევა და სულ მალე, რაღაც სამიოდ წუთში აღიარა მარცხი.

იღბლის კიდევ ერთმა ასეთმა ცვლილებამ საბოლოოდ გაუფუჭა საქმე, რამაც "არმაგედონის" დროს იჩინა თავი. ამ ნაწილში მოჭადრაკეებს ერთი პარტიის თამაში უწევთ, სადაც თეთრებს 6 წუთი ეძლევათ, შავებს კი 5. სვლაზე წამები აღარ ემატება, ანუ სუფთა დროა და თეთრებს აუცილებლად სჭირდებათ გამარჯვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ ყაიმის დროს, გამარჯვებულად შავებით მოთამაშე ცხადდება. წილისყრამ თეთრები ხვიჩას არგუნა, რაც ასეთ ვითარებაში მისთვის წამგებიანი აღმოჩნდა: სათამაშო უპირატესობა კი მოიპოვა, პაიკიც მოიგო, მაგრამ ერთწუთიანი ჰანდიკაპი თვალსა და ხელს შუა შემოადნა და თავად ჩამორჩა მეტოქეს. მჭედლიშვილმა, პაიკის დეფიციტის მიუხედავად, სიმშვიდე შეინარჩუნა და ზედმეტ ფიქრს მოეშვა - სვლებს იმეორებდა. სტრატეგიამ გაამართლა: სუპატაშვილი დროში ვერ ჩაეტია და წაგება ჩაეთვალა. ნამდვილად დასანანი მარცხი იყო, მაგრამ თუკი უმაღლეს დონეზე ასპარეზობ და ტიტულებს უტევ, ასეთი ვითარებიდან სწორი გამოსავლის პოვნაც უნდა მოახერხო. ამჯერად ხვიჩამ ეს ვერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ წლებია სუპატაშვილი აქტიურ საჭადრაკო პრაქტიკას აღარ ეწევა და სამწვრთნელო საქმიანობით არის დაკავებული. მჭედლიშვილიც ერთ-ერთი მისი მონაფეა, რომელსაც დროდადრო უწევს კონსულტაციას - ნაკრებში ყოფნისას თუ კერძო პრაქტიკის დროს. როგორც ჩანს, ოსტატს ყოველთვის აქვს უბეში შენახული ისეთი რამ, რომელიც მონაფის დამარცხებაში შეეშველება... მართალია ხვიჩამ მატჩი წააგო, მაგრამ არა წმინდა საჭადრაკო თვალსაზრისით, მხოლოდ ფიზიკურად ვერ გაუძლო.

დღეიდან, 12 საათიდან ნახევარფინალები დაიწყება. ლევან ფანცულაია კონსტანტინე შანავას დაუპირისპირდება, მიხეილ მჭედლიშვილი კი გიორგი მარგველაშვილს.

**ზვიად შათირიშვილი**

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 21 მარტი

**ორლანდო-ფილადელფია 113:95**

33:19, 25:16, 30:25, 25:35

**ორლანდო:** რ. ლიუისი (18+8 მოხსნა), თურქოღლუ (16+9 მოხსნა), დ. ჰოვარდი (13+12 მოხსნა).

**ფილადელფია:** ლ. უილიამსი (18), იგუოდალა (14).

**ინდიანა-მინესოტა 124:113**

35:27, 31:22, 27:33, 31:31

**ინდიანა:** გრეინჯერი (32), დანლივი (25+7 პასი), მერფი (22+12 მოხსნა), ფოსტერი (10+12 მოხსნა).

**მინესოტა:** მაკკენტსი (22+6 პასი), ფოიე (16+6 პასი), სნიდერი (15), კ. სმიტი (14), გომესი (14).

**ნიუ იორკი-მემფისი 106:120**

28:35, 22:34, 40:23, 16:28

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (22), ნ. რობინსონი (18+5 ჩაჭრა), უ. ჩენდლერი (17), ლი (16).

**მემფისი:** მ. მილერი (34), გეი (24), ნავარო (17), უორიკი (11+10 მოხსნა).

**მაიამი-ვაშინგტონი 86:103**

20:28, 19:24, 23:35, 24:16

**მაიამი:** ბ. ჯოუნსი (15), ბლაუნტი (14).

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (25+6 პასი), ჯეიმისონი (22+10 მოხსნა).

**კლივლენდი-ტორონტო 90:83**

24:25, 21:17, 18:25, 27:16

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (29+12 მოხსნა), ილგაუსკასი (16+10 მოხსნა), დ. ბრაუნი (14).

**ტორონტო:** ბოში (24), ნესტეროვიჩი (16).

**ნიუ ჯერსი-დენვერი 114:125**

25:33, 30:34, 35:26, 24:32

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (32), რ. ჯეფერსონი (29), დ. ჰარისი (16+13 პასი), ბუნი (10+11 მოხსნა).

**დენვერი:** აივერსონი (26+9 პასი+4 ჩაჭრა), კლეიზა (23), კენიონ მარტინი (17+8 მოხსნა), კ. ენტონი (17), კემბი (16+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-საკრამენტო 102:89**

23:19, 31:28, 25:21, 23:21

**სან ანტონიო:** დანკანი (21+13 მოხსნა), ტ. პარკერი (19+7 პასი).

**საკრამენტო:** არტესტი (23), კევინ მარტინი (20).

**პორტლენდი-კლიპერსი 107:102**

32:24, 25:33, 30:18, 20:27

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (22+12 მოხსნა+7 პასი), როი (21), უებსტერი (16), ბლეიკი (15+11 პასი).

**კლიპერსი:** მობლი (24), პაუელი (21), ს. პარკერი (14+7 პასი), დიკაუ (14+7 პასი).

**გ. სტეიტი-ჰიუსტონი 106:109**

29:26, 21:26, 23:23, 33:34

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (27), მ. ელისი (24), ე. ჰარინგტონი (18+14 მოხსნა), მ. პიეტრუსი (16+13 მოხსნა), ს. ჯექსონი (15).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (26+8 მოხსნა+8 პასი), ბეტიე (17), ლანდრი (17+8 მოხსნა), ბ. ჯექსონი (16).

**ლეიკერსი-სიეტლი 130:105**

34:21, 28:33, 31:22, 37:29

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (23), უოლტონი (17), ფარმარი (14), ტურიაფი (14), ვუიაჩიჩი (13), ოდომი (13+12), რადმანოვიჩი (13).

**სიეტლი:** დიურანი (20), ე. უოტსონი (20+7 პასი), დ. მარშალი (17).

### 22 მარტი

**ფინიქსი-ჰიუსტონი 122:113**

38:21, 36:36, 21:28, 27:28

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (38+13 მოხსნა+4 დაფარება), შ. ონილი (23+13 მოხსნა), ბარბოსა (21), ნეში (15).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (30+9 პასი+8 მ მოხსნა), სკოლა (16 ქ), ალსტონი (15), ბეტიე (14 ქ), ჯექსონი (13).

**ჩიკაგო-ინდიანა 101:108**

28:27, 27:28, 29:18, 17:35

**ჩიკაგო:** დენგი (28+8 მოხსნა), გორდონი (21), ნოა (16+8 მოხსნა), გუდენი (10+10 მოხსნა).

**ინდიანა:** მ. დანლივი (25 ქ), მერფი (24+8 მოხსნა), გრეინჯერი (18+10 მოხსნა).

**იუტა-სიეტლი 115:101**

23:34, 29:27, 33:20, 30:20

**იუტა:** ბუზერი (26+13 მოხსნა), ოქური (24+10 მოხსნა), დ. უილიამსი (15+14 პასი), რ. ბრიუერი (14).

**სიეტლი:** დიურანი (23), ჯ. გრინი (23), ე. უოტსონი (14), უილკინსი (13), კოლისონი (10+13 მოხსნა).

**შარლოტი-მაიამი 94:82**

16:17, 30:22, 27:25, 21:18

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (26), ჯ. რიჩარდსონი (24), მოჰამედი (16+14 მოხსნა).

**მაიამი:** ჯ. უილიამსი (19+8 პასი), რ. დევისი (15+9 მოხსნა), ქუინი (14).

**ფილადელფია-ნ. ჯერსი 91:87**

23:19, 26:23, 19:33, 23:12

**ფილადელფია:** იგუოდალა (28), ა. მილერი (21), ლ. უილიამსი (15), დალემბერი (11+18 მოხსნა+5 დაფარება).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (27+8 მოხსნა), დ. ჰარისი (14), კრისტიჩი (14), რ. ჯეფერსონი (11).

**ატლანტა-ორლანდო 98:90**

27:17, 17:28, 19:22, 35:22

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (34+7 პასი), ბიბი (20+8 პასი), ჯოშ სმიტი (19+9 მოხსნა), ჰორფორდი (11+10 მოხსნა).

**ორლანდო:** თურქოღლუ (18), ნელსონი (16), მ. ევანსი (14), რ. ლიუისი (14), დ. ჰოვარდი (11+16 მოხსნა).

**მინესოტა-ნიუ იორკი 114:93**

42:24, 27:32, 25:21, 20:16

**მინესოტა:** გომესი (26+8 მოხსნა), მაკკენტსი (24), სნიდერი (15+8 მოხსნა).

**ნიუ იორკი:** მ. როუზი (20), ჯ. კროუფორდი (16), ლი (14+11 მოხსნა), ფ. ჯოუნსი (13).

**მემფისი-საკრამენტო 117:111**

40:29, 27:27, 27:31, 23:24

**მემფისი:** გეი (24), ნავარო (22), მილიჩიჩი (19+10 მოხსნა).

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (29), ჰოუზი (19+12 მოხსნა), გარსია (15).

**ნიუ ორლეანი-ბოსტონი 113:106**

23:36, 32:29, 26:24, 32:17

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (37), პოლი (19+7 პასი), პარგო (15).

**ბოსტონი:** პირსი (28), რონდო (23+7 პასი), გარნეტი (19+12 მოხსნა), რ. ალენი (17).

**კლიპერსი-პორტლენდი 72:82**

17:22, 17:22, 22:22, 16:17

**კლიპერსი:** მაგეტი (21), პაუელი (13+10 მ).

**პორტლენდი:** როი (23), ოლდრიჯი (21+10), პრჟიბილა (14+25 მოხსნა).

## ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# მარდი ფიში

ამერ უკვე თითქმის სეზონის მესამედი მიილია, მაგრამ მსოფლიოს პირველ ჩოგანს **როჯერ ფედერერს** ჯერ არცერთი ტურნირი მოუგია. მოგებას ვინ ჩივის, შვეიცარიელს ფინალში გასვლაც სანატრელი გაუხდა. ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში **ჯოკოვიჩმა** გადაუღობა გზა, დუბაის ტურნირზე, პირველივე წრეში წააგო ბრიტანელ **ენდი მარეისთან** და ახლა, სეზონის პირველ მასტერსში ზედიზედ მესამე ფიასკო განიცადა - პირწმინდად დათმო ნახევარფინალი განუთესავ ამერიკელთან, მსოფლიოს 98-ე ჩოგან **მარდი ფიშთან** - 3:6, 2:6.

ფიშისა და ფედერერის დაპირისპირების ასეთ დასასრულს ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა. როჯერმა თითქოს დაიბრუნა ძველი თავდაჯერებულობა, მეოთხედფინალამდე ისე მიაღწია, სეტი არ დაუთმო მეტოქეებს, ნახევარფინალში კი, უბრძოლველად გავიდა, ვინაიდან მის მეტოქეს, გერმანელ **ტომი ჰაასს** რაღაც ინფექცია შეეყარა და თამაშზე უარი თქვა.

ასე რომ, ფედერერი ნახევარფინალს დასვენებული შეხვდა. ეს იმ დროს, როცა მეოთხედფინალში ფიშს 2 საათი და 45 წუთი დასჭირდა არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანის** დასამარცხებლად (6:3, 6:7, 7:6). წინა ეტაპებზეც, ამერიკელმა მაღალი დონის ოსტატები - **ნიკოლაი დავიდენკო** და **ლეიტონ ჰიუიტი** ჩამოაშორა ტურნირს. თუმცა ფინალის შემდეგ, ფედერერმა დაიჩივლა, ჰაასთან თამაშის საშუალება რომ არ მომეცა, ამან რითმიდან ამომაგდოო.

ის, რომ ფედერერს ფიშთან მატჩში კარგი დღე არ დაადგებოდა, პირველი სეტის დასაწყისიდანვე გამოჩნდა. ამერიკელმა 3:0 წაიყვანა ანგარიში და აქედან მოყოლებული, ბოლომდე დამაჯერებლად აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას.

*"რა თქმა უნდა, ეს არ იყო როჯერის დღე, მაგრამ ჩემი დამსახურებაც არ უნდა დავივიწყოთ. მე მას თავიდანვე შევუტიე და გასაქანი არ მივეცი"*, - განაცხადა ფიშმა.

გარდა ფიშის აქტიური თამაშისა, ფედერერის დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მისი ცუდი ბექჰენდი უნდა დასახელდეს. მარცხნიდან დარტყმით შვეიცარიელმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო და 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ფიშმაც კარგად დაინახა თამაშის ამ კომპონენტში როჯერის პრობლემები და მუდმივად ცდილობდა ბურთი სწორედ მარცხნივ გაეშვა.

ამერიკელმა გამარჯვებისთვის 57 წუთი იკმარა, არადა, უფრო ნაკლებ დროში შეეძლო მატჩის დასრულება. მეორე სეტში, როცა 5:1 იგებდა, ფედერერის მოწოდებაზე ორი მატჩ-პოინტი გაანიავა, მაგრამ მომდევნო გეიმში, მეოთხე ცდაზე მაინც შეძლო ნახევარფინალის ბედის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

ფიშს საჩოგბურთო სამყაროში კარგად იცნობენ. თავისი საუკეთესო სეზონი მან 2004 წელს ჩაატარა, როცა რეიტინგში მე-17 პოზიციას მიაღწია, ხოლო ათენის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიგო. მაგრამ იქედან მოყოლებული, ამერიკელი ქრონიკული ტრავმების გამო, თანდათან ქვემოთ დაეშვა და ATP-ის ტურნირებზე ერთეული გამონათებები ჰქონდა.

ეს ფიშისა და ფედერერის რიგით მეექვსე შეხვედრა იყო და ამერიკელმა პირველად დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. აღსანიშნავია, ამ გამარჯვებით ფიშმა ერთგვარად ამერიკელი ჩოგბურთელების პრესტიჟი დაიცვა. საქმე ისაა, რომ 2003 წლიდან მოყოლოებული დღემდე, ფედერერს ამ ქვეყნის წარმომადგენლებთან ზედიზედ 41 (!) მატჩი ჰქონდა მოგებული.



ფედერერს ავტოგრაფებისთვის არ სცხელა

მიუხედავად წაგებისა, ფედერერმა ინდიან უელსში თავის გამოსვლას წარმატება უწოდა. თუ შარშანდელ ტურნირს გავიხსენებთ, შვეიცარიელისთვის ეს მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუ გახსოვთ, გასულ წელს, როჯერმა ადრეულ ეტაპზე წააგო არგენტინელ **გილერმო კანიასთან**.

*"მასტერსის ნახევარფინალში გასვლა ცუდი შედეგი არ არის. ვფიქრობ, მაიამიში გამარჯვებას შევძლებ და თიხნარის სერიის ტურნირებშიც წარმატება მელის"*, - ოპტიმიზმს არ კარგავს ფედერერი, თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ შვეიცარიელს ამ სეზონში მთლად წესრიგში ვერ აქვს ყველაფერი.

■ ■ ■

ფედერერის დამარცხების გამო, ერთგვარად ჩრდილში მოექცა ნახევარფინალური ეტაპისა და ალბათ, მთლიანად ტურნირის ცენტრალური მატჩი სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და ესპანელ **რაფაელ ნადალს** შორის.

ეს იყო შარშანდელი ფინალის გამეორება. შარშან, ნადალმა ორ სეტში მოუგო სერბს, მაგრამ მას შემდეგ, ჯოკოვიჩმა უდიდესი პროგრესი განიცადა, მოიგო კარიერაში "დიდი სლემის" პირველი ტურნირი და სერიოზულად დაემუქრა რეიტინგში ნადალისა და ფედერერის პოზიციებს.

*"ნადალისგან განსხვავებით, მაშინ ნაკლებად გამოცდილი ვიყავი და ამიტომაც ძალიან ვნერვიულობდი"*, - განაცხადა ფინალის წინ ჯოკოვიჩმა და იქვე დაამატა, რომ ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ ისწავლა.

ამ ჩოგბურთელების ურთიერთშეხვედრებში ანგარიში 6:2 იყო ესპანელის სასარგებლოდ. რაფამ პირველი ექვსი მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა, მაგრამ ახლა ზედიზედ სამი მოგება ჯოკოვიჩის მხარესაა. სერბმა მესამე გამარჯვება სწორედ ინდიან უელსის მასტერსის ნახევარფინალში გაიფორმა. რეკლამირებულმა მატჩმა მოლოდინი ვერ გაამართლა და ის ზუსტად ისეთივე ანგარიშით დასრულდა (6:3, 6:2), როგორც ფიშისა და ფედერერის შეხვედრა.

ნადალმა ძალიან ბევრი, 23 უნებლიე შეცდომა დაუშვა და სწორედ ამას დააბრალა წაგება. *"თუ ნოვაკის დამარცხება გინდა, მის წინააღმდეგ შესაძლებლობების 100 პროცენტი უნდა გამოამჟღავნო, მე კი, უამრავი შეცდომა დავუშვი. ჯოკოვიჩი ჩამოყალიბებული ჩოგბურთელია - კარგი მოწოდებით, კარგი ფორჰენდითა და ბექჰენდით, სწრაფად გადაადგილდება კორტზე... ის თითქმის იდეალურია"*, - განაცხადა ესპანელმა.

ჯოკოვიჩს თავისი იდეალურობა გუშინ, გვიან ღამით მარდი ფიშთან ფინალში უნდა დაემტკიცებინა...

■ ■ ■

ორი სიტყვით, ქალთა ნახევარფინალურ ეტაპზე, სადაც ორი ქვეყნის - რუსეთისა და სერბეთის დერბები გაიმართა. **მარია შარაპოვასა** და **სვეტლანა კუზნეცოვას** მატჩში შეწყდა შარაპოვას 18-მატჩიანი წაუგებელი სერია. სამსეტიან თრილერში რუსებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს. მხოლოდ მესამე პარტიაში წაუვიდა თამაში კუზნეცოვას, რასაც მარიამ ვერაფერი დაუპირისპირა და გადამწყვეტი სეტი 2:6 წააგო.

ამ ჩოგბურთელების ურთიერთშეხვედრათა ანგარიში გათანაბრდა - 4:4. გუშინ კი გაირკვა, რომ შარაპოვა ვერ ითამაშებს პირველი კატეგორიის ტურნირზე, რომლიც ამ კვირას მაიამიში დაიწყება.

სერბულ დაპირისპირებაში კი, ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო, რომლის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. **ანა ივანოვიჩმა** მხოლოდ მეექვსე სეტ-პოინტზე შეძლო პარტიის აღება და დაწინაურება. მეორე სეტში კი, **ელენა იანკოვიჩს** თამაში არ წაუვიდა. სულ ივანოვიჩმა 7 ეისი მოაწოდა, თანაც მატჩის მნიშვნელოვან მომენტებში და დამსახურებულად მოიპოვა ფინალის საგზური.

გია **თვალაბეიშვილი**

### ATP

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 589 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 3)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 7:6, 6:2; **რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9) 7:5, 3:6, 6:3; **მარდი ფიში** (აშშ, 31)-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 7) 6:3, 6:7, 7:6; **როჯერ ფედერერი** (შვეიც, 1)-ტომი ჰაასი (გერ) ჰაასის უარი.

**1/2 ფინალი**

მარდი ფიში (აშშ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) 6:3, 6:2; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:3, 6:2.

### WTA

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ანა ივანოვიჩი (სერ, 1)-ელენა იანკოვიჩი (3) 7:6, 6:3; სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)-მარია შარაპოვა (რუს, 4) 3:6, 7:5, 2:6.

## ფიგურული სრიალი

### ჩემპიონატს ტოკიო უმასპინძლებს

ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ISU) ახალი ტურნირის შექმნის შესახებ გამოაცხადა. ეს არის გუნდური შეჯიბრება ფიგურულ სრიალში, რომლის საპრიზო ფონდიც ერთი მილიონი დოლარი იქნება. ტურნირი მომავალ წელს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართება.

პირველობისთვის ის ექვსი ქვეყანა იბრძოლებს, რომლებსაც საუკეთესო რეიტინგი გააჩნიათ. ნაკრებში შევა ორ-ორი ქალი და მამაკაცი მოციგურავე, ერთი სპორტული წყვილი და ერთიც საცეკვაო დუეტი. ტურნირის გამარჯვებული 200 ათას დოლარს მიიღებს.

სადებიუტო შეჯიბრება 2009 წლის 16-19 აპრილს, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ გაიმართება. სწორედ პლანეტის პირველობაზე უნდა გაირკვეს, ტურნირის შემადგენლობა.

## კალათბურთი

### ნიუბლი ლეიკერსში ჩაირიცხა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" კონტრაქტი გააფორმა "კლივლენდ კავალიერსის" ყოფილ ფორვარდ **აირა ნიუბლთან**. ხელშეკრულების დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა.

33 წლის კალათბურთელმა კალიფორნიული კლუბი მას შემდეგ აირჩია, რაც "კლივლენდის" ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდა. შეგახსენებთ, რომ ამა წლის თებერვალში, ნიუბლი მოთამაშეების გაცვლის შედეგად "სიეტლში" აღმოჩნდა, ამ უკანასკნელმა კი, კალათბურთელი ტრანსფერზე დააყენა.

### ბერი სპურსში ბრუნდება

უახლოეს დღეებში "სან ანტონიო სპურსთან" კონტრაქტს გააფორმებს თავისუფალი აგენტი, მცველი **ბრენტ ბერი**. ნიუბლის მსგავსად, ეს კალათბურთელიც გაცვლის შედეგად "სიეტლში" გადავიდა და "სონიქსმა" ისიც ტრანსფერზე დააყენა.

სამქულიანების შესრულებით ცნობილ ბერის იმედი აქვს, რომ კონტრაქტი 25 მარტამდე გაფორმდება. ამ დღეს "სპურსს" "ორლანდო მეჯიქთან" აქვს რეგულარულის მორიგი ტურის შეხვედრა.

### მაიამიმ ჰასლემიც დაკარგა

"მაიამი ჰიტს" სასტარტო ხუთეულის კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა. მარცხენა ფეხზე ოპერაცია ელის ფორვარდ **უდონის ჰასლემს**, რის გამოც, ის ამ სეზონში მოედანზე ველარ გავა. შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო "მაიამის" **დუეინ უეიდი** და **ალონზო მოურნინგი** აკლია.

ამ სეზონში ჩატარებულ 49 მატჩში ჰასლემი საშუალოდ 12 ქულასა და 9 მოხსნას უყრიდა თავს.

## მოტორბოლა

# შუმიმ მოტორბოლა წააგო

გასულ კვირას, ლეგენდარულმა გერმანელმა ავტომრბოლმა **მიხაელ შუმახერმა**, უნგრეთის ტრასაზე მოტორბოლაში მიიღო მონაწილეობა. სტარტზე გასულ 27 მონაწილეს შორის, ძირითადად ენთუზიასტი მოყვარულები ჭარბობდნენ, თუმცა მათ შორის რამდენიმე პროფესიონალიც ერია. მაგალითად, 2007 წელს IDM-ის ჩემპიონი **მარტინ ბაუერი**.

ფორმულა 1-ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი Honda Superbike-ით ასპარეზობდა. კვალიფიკაციაზე მან სულ რამდენიმე წრე გაიარა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა პოულის მოსაპოვებლად. თუმცა შუმიმ პირველი პოზიციიდან სტარტზე უარი განაცხადა და სხვა პროფესიონალებთან ერთად, სასტარტო ბილიკის ბოლო რიგში ჩადგა.

საბოლოოდ, მიხაელმა მესამე ადგილი დაიკავა და ექვსი წამით ჩამორჩა გამარჯვებულს. სამაგიეროდ, გერმანელმა ერთ-ერთ წრეზე (4.7 კმ) საუკეთესო დრო აჩვენა - 2.01, 309.

გიორგი **თვალია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. ევროპის ჩემპიონატი

# ბერნარმა რეკორდი ორჯერ დაამხო

ჰოლანდიის ქალაქ აინდჰოვენში მიმდინარე, მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს მორიგი რეკორდებით აღინიშნა და ორივე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარდა. ნახევარფინალურ ეტაპზე, ჰოლანდიელი **პიტერ ვან დენ ჰოოგენბანდის** ძველი რეკორდი ფრანგმა **ალენ ბერნარმა** გააუმჯობესა, რომელმაც მოგვიანებით, ფინალურ გაცურვაზე თავისივე რეკორდი მოხსნა.

24 წლის ფრანგმა ნახევარფინალში დისტანცია 47.60 წამში გაცურა, რაც 0.24 წამით ნაკლებია ვან დენ ჰოოგენბანდის მიერ სიდნეის ოლიმპიადაზე დამყარებულ რეკორდზე. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა მოცურავემ ევროპის ჩემპიონატზე ხეირიანად ასპარეზობაც ვერ შეძლო, რისი მიზეზიც გრიპი გახდა. ალსანიშნავია, რომ რეკორდის მოხსნამდე, ფრანგი მოცურავის პირადი საუკეთესო შედეგი 48.12 წამი იყო.

ბერნარის გარდა, ფრანგთა ნაკრებს ოქროს მედალი 4x200 მეტრზე ესტაფეტაში მოასპარეზე ქალებმაც შესძინეს, რომლებმაც ფინიშთან 0.27 წამით მიასწრეს ბრიტანეთის კვარტეტს. ფრანგებს კიდევ ორი ოქროს მოპოვების შანსი ჰქონდათ, მაგრამ მათ ლიდერებს, **ლორ მანოდუსა** და **ჰიუ დიუბოსკს** ხელი მოეცარათ, რაშიც "დამნაშავენი" რუსი მოცურავეები გახდნენ.

მანოდუმ 100 მეტრზე გულაღმა ცურვის ნახევარფინალურ ეტაპზე მსოფლიოს რეკორდის დამყარება შეძლო, მაგრამ ფინალში რუს **ანასტასია ზუევასთან** დამარცხდა. რუსი სტარტიდანვე დაწინაურდა და ფინიშთან ნახევარ წამზე მეტით მიასწრო მანოდუს, ვინც ამ დისტანციაზე მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი და ევროპის აწ უკვე ყოფილი ჩემპიონია. ალსანიშნავია, რომ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მანოდუმ სწორედ ზუევასთან პაექრობაში მოიპოვა ოქროს მედალი. ფრანგისთვის სანუგეშო ესტაფეტაში მოპოვებული მეორე ოქრო გახდა.

დუბოსკმა 200 მეტრზე ბრასის წინასწარ ეტაპებზე ევროპის ჩემპიონატების რეკორდები ორჯერ მოხსნა, მაგრამ ფინალში ისიც ხელმოცარული დარჩა. დისტანციის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ლიდერი სწორედ ის იყო. მაგრამ დასკვნით მონაკვეთზე მას რუსმა **გრიგორი ფალკომ** გაასწრო და ფინიშის დაფასაც პირველი ის შეეხო. თანაც ფრანგს ევროპის ჩემპიონატის რეკორდიც მოუხსნა - 2:09.64.

ორი ოქრო მოიპოვეს ბერძნებმა: **იოანის დრიმონაკოსმა** 200 მეტრზე ბატერფლაი მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, პოლონელ **პაველ კორჟენიოვსკისთან** დაძაბულ პაექრობაში მოიგო. თანაც, ორივე მოცურავემ ევროპის რეკორდის გაუმჯობესებაც შეძლო (ჩემპიონის დროა 1:54.16). 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში კი ბადალი არ ჰყავდა **არისტეიდის გრიგორიადისს**, ვისაც მანამდე 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ვერცხლი ჰქონდა მოპოვებული.



ალენ ბერნარი მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავეა

მეორე ოქრო მოიპოვა იტალიელმა **ალესია ფილიპიმ**, ვინც ამჯერად 800 მეტრზე თავისუფალ სტილში გაიმარჯვა. ალსანიშნავია, რომ ამ დისტანციაში ფავორიტი მანოდუ იყო, მაგრამ მან ასპარეზობისგან თავი შეიკავა.

ბერნარმა კი მეორედ 100 მეტრზე თავისუფალის ფინალში გაიბრწყინა - დისტანცია 47.50 წამში გაცურა. ალსანიშნავია, რომ აინდჰოვენამდე ის ბევრისთვის უცნობი იყო. მას მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე (100 მეტრზე თავისუფალში) მეცხრე ადგილი აქვს დაკავებული, ევროპის ჩემპიონატზე კი საუკეთესო შედეგი მეშვიდე ადგილი იყო.

*"ეს წარმოუდგენელია. რეკორდი, რომელიც რვა წელი ხელუხლებელი იყო, ორ დღეში ორჯერ გავაუმჯობესე. ახლა კი ვიცი, რომ მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ვარ და ერთი სული მაქვს, როდის მოვა ოლიმპიადის დრო. ამ შედეგისთვის რომ მიმელწია, წლები დამჭირდა. მოკლედ, უბედნიერესი ადამიანი ვარ"*, - განაცხადა ბერნარმა, ვინც თითქმის წამით აჯობა მეორეზე გასულ შვედ **სტეფან ნისტრანდს**, რომელიც მოკლე აუზში ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენია.

1 500 მეტრზე თავისუფალში ყველაზე სწრაფი რუსი **იური პრილუკოვი** გამოდგა, ვინც ამ დისტანციაზე ძველი კონტინენტის ჩემპიონის წოდება მეოთხედ მოიპოვა და ამით გერმანელი **იორგ ჰოფმანის** მიღწევა გაიმეორა. სტარტიდან ბრიტანელი **დევიდ დევისი** დაწინაურდა, მაგრამ შუა გზაზე პრილუკოვმა, ვინც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე, ამ დისტანციაზე ვერცხლი აიღო, მისი ჩამოტოვება შეძლო და მოპოვებული ლიდერობა ფინიშამდე შეინარჩუნა. დევისი მეორე ადგილს დასჯერდა, მესამეზე კი მსოფლიო ჩემპიონი, პოლონელი **მატეუშ სავრიმონოვიჩი** გავიდა.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა ქალების 100 მეტრზე ბატერფლაი. აქ ფავორიტი ჰოლანდიელი **ინგე დეკერი** იყო, რომელიც სტარტიდან დაწინაურდა კიდეც და თან, მსოფლიო რეკორდის გრაფიკსაც გაუსწრო, მაგრამ დაიღალა და ფინიშამდე მას შვედმა ამომავალმა ვარსკვლავმა, 14 წლის **სარა შიოესტრიომმა** აჯობა, ვინც პირველად იასპარეზა საერთაშორისო დონეზე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 24 მარტი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ლივერპული.
**15:10** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-პსჟ.
**19:05** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
**20:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:00** საფეხბურთო ღამე.
**00:30** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რივერ პლეიტი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:55** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. პაულისტა-პალმეირასი.
**09:40** სპორტის სამყარო.
**10:10** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**11:30** ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
**12:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი.
**13:45** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-დეპორტივო
**15:40** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
**17:25** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
**18:20** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-კოლორადო.
**20:10** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** სპორტკლუბი.
**00:15** პროფესიული კრივი. ჯერმენ ტეილორი-კორი სფინქსი.
**02:30** სპორტის სამყარო.
**02:55** მინი-მოედანი.
**03:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-დეპორტივო
**05:00** ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
**05:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-მინესოტა.

#### EUROSPORT

**11:30** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. I დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**13:30** ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. გიოტებორგი. შვედეთი.
**14:00** ოლიმპიზმი. პეკინი 2008 (LIVE).
**15:00** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია.
**15:30** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. I დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
**18:30** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 5 მ. ქალები. ჰოლანდია.
**19:00** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა (სინქრონული). 10 მ. მამაკაცები. ჰოლანდია.
**19:30** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 10 მ. მამაკაცები. ჰოლანდია (LIVE).
**20:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** საწყლოსნო სახეობები. ევროპის ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. ჰოლანდია (LIVE).
**23:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:45** სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. I დღე. პეკინი. ჩინეთი.
**01:00** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-აშშ. კანადა (LIVE).
**03:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**04:15** მულტისპორტი.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-კალგარი.
**14:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**15:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. IV ტური. ესპანეთი (LIVE).
**16:30** ახალი ამბები.
**17:30** ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. IV ტური. ესპანეთი (LIVE).
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**20:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-კალგარი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ფეხბურთი.
**22:00** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. კანადა.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ბილიარდი.
**23:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**00:30** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-კალგარი.
**02:00** ახალი ამბები.
**03:15** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**03:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| დალასი-სან ანტონიო | 81:88 |
| ტორონტო-დენვერი | 100:109 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აეკ-პაოკ | 73:64 |
| კოლოსოსი-მარუსი | 88:84 |
| პანიონიოსი-რეტიმნო | 79:87 |
| არისი-ოლიმპია | 48:58 |
| აელ-პანელინიოსი | 92:88 |
| აეპ-ოლიმპიაკოსი | 66:103 |
| ეგალეო-პანათინაიკოსი | 76:85 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ხირონა-ხუვენტუდი | 87:80 |
| ბარსელონა-კახასოლი | 76:86 |
| ესტუდიანტესი-მანრესა | 88:76 |
| მენორკა-ბილბაო | 72:71 |
| რეალი-მურსია | 75:55 |
| ვალიადოლიდი-უნიკახა | 89:94 |
| ტაუგრესი-ლეონი | 88:93 |
| ფუენლაბრადა-გრან კანარია | 80:90 |
| გრანადა-პამესა | 78:68 |

| იტალია | |
|---|---|
| მილანი-სნაიდერო | 95:86 |
| ნაპოლი-რიეტი | 99:89 |
| რომა-კანტუ | 80:69 (ო) |
| სკაფატი-ბიელა | 83:65 |
| სკავოლინი-ვარეზე | 84:67 |
| ტერამო-აველინო | 79:82 |
| ბენეტონი-მონტეპასკი | 66:74 |
| დოლანდო-ფორტიტუდო | 82:80 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ს. იულაევი-აკ ბარსი | 3:0 |
| მეტალურგი (მ)-ლოკომოტივი | 0:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-ჰამბურგი | 6:1 |
| ფრანკფურტი-იზერლონი | 3:3 |
| კიოლნი-მანჰაიმი | 4:4 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 1:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სკალიცა-კოშიცე | 4:2 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 5:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ბუდეოვიცე-კარლოვი ვარი | 2:1 |
| ლიბერეცი-სლავია | 4:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბაზელი-ამბრი | 2:4 |
| ციურიხი-დავოსი | 3:2 |
| ფრიბურგი-სერვეტი | 3:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ფერიესტადი-ლინჩოპინგი | 3:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. ინდიან უელსი | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ფიში | გვიან დასრულდა |

| WTA. ინდიან უელსი | |
|---|---|
| ივანოვიჩი-კუზნეცოვა | 6:4, 6:3 |

## ჰოკეი. NHL. რეგულარული

### 21 მარტი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 1:3**

1:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 კომო-7 (ოკსოპო-1, ბერარი-15), 1:1 ზაიაცი-14 (ჯონტა-30, პარიზე-32), 1:2 ოკსოპო-1 (პარკი-17, ბერარი-16), 1:3 ჰანტერი-11.

**ფილადელფია-რეინჯერსი 4:3 (ბ)**

1:0, 0:0, 2:3, 0:0

გოლები: 1:0 მ. რიჩარდსი-26, 2:0 ბრიერი-27 (პრონსალი-33), 2:1 მალიკი-2 (იაგრი-43, ბეკმენი-10), 2:2 დეივსი-12 (ბეკმენი-11, შენეჰანი-22), 3:2 ბრიერი-28 (პარტნელი-18, პრონსალი-34), 3:3 იაგრი-19 (ბეკმენი-12, სტრაკა-23).

ბულიტები გაიტანეს: მ. რიჩარდსი (ფილადელფია), ჯ. კარტერი (ფილადელფია).

**ატლანტა-ვაშინგტონი 3:5**

0:1, 3:0, 0:4

გოლები: 0:1 ოვეჩკინი-59 (ბექსტრომი-50, ვიქ. კოზლოვი-23), 1:1 ენსტრომი-5 (რეკი-33, ვიაჩ. კოზლოვი-23), 2:1 სლეიტერი-5 (პერენი-30), 3:1 სლეიტერი-6 (პერენი-31, კ. არმსტრონგი-20), 3:2 ოვეჩკინი-60 (მ. გრინი-31, პოტი-24), 3:3 ბექსტრომი-13 (მ. გრინი-32, ოუე-2), 3:4 ბექსტრომი-14 (ოვეჩკინი-45), 3:5 გორდონი-6 (ლეიჩი-13, ოვეჩკინი-46).

**ბაფალო-ტორონტო 1:4**

0:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ჯ. ბლეიკი-14 (ა. სტინი-27, პონიკაროვსკი-14), 0:2 ტაკერი-16 (კუბინა-23, სტაიანი-17), 1:2 ვანეკი-32 (დ. როა-41, პომინვილი-49), 1:3 სტრალმანი-1 (მური-11), 1:4 სტაიანი-15 (ჯ. ბლეიკი-33, სტრალმანი-5).

**ვანკუვერი-მინესოტა 1:2**

0:0, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 როლსტონი-28 (დემიტრა-30, პილო-4), 0:2 რადივოევიჩი-6 (დემიტრა-31), 1:2 სალო-6 (დ. სედინი-42, ჰ. სედინი-55).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 2:1**

1:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ჯ. ტორნტონი-21 (მ. მიხალეკი-27, ჩიჩუ-14), 1:1 მარჩანტი-9 (კუნიტცი-29, ს. ნიდერმაიერი-15), 2:1 რიონიკი-13 (ბ. კემპბელი-48, პაველსკი-16).

### 22 მარტი

**ნეშვილი-ჩიკაგო 2:1 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 არნოტი-27 (მ. ტუბერი-14, დუმონი-39), 1:1 ლედი-13 (ბოლანდი-11, შარპი-22).

ბულიტები გაიტანეს: კეინი (ჩიკაგო), პევერლი (ნეშვილი), რადულოვი (ნეშვილი).

**დალასი-ლოს ანჯელესი 2:4**

1:0, 1:1, 0:3

გოლები: 1:0 მორო-29 (ნისკანენი-18, დელეი-18), 1:1 რ. ბლეიკი-8 (კამალერი-26, კოპიტარი-42), 2:1 ბარნსი-10 (რიბეირო-51, ფისტრიჩი-2), 2:2 ჰანძუში-6, 2:3 ვიშნოვსკი-8 (დ. არმსტრონგი-24, დ. ბრაუნი-24), 2:4 ჰანძუში-7 (ფროლოვი-41, ო'სალივანი-29).

**ედმონტონი-კოლორადო 7:5**

3:0, 1:1, 3:4

გოლები: 1:0 პენერი-21 (ჰემსკი-45, პიტკანენი-16), 2:0 სემ განიე-11 (ჰემსკი-46, გრებეშკოვი-14), 3:0 პიზანი-12 (პუიო-5, რისონერი-13), 3:1 არნასონი-10 (დ. ჯონსი-4, საკიკი-21), 4:1 ბროძიაკი-13 (პიტკანენი-17, სტაიოსი-8), 4:2 სალეი-5 (ჰეიდუკი-22, შჩასტნი-42), 4:3 ვოლსკი-17 (საკიკი-22, ბრუნეტი-35), 4:4 ჰეიდუკი-23 (რ. სმიტი-, შჩასტნი-43), 5:4 პუიო-1 (რისონერი-14, პიზანი-8), 6:4 სემ განიე-12 (ჰემსკი-47, პენერი-23), 7:4 ლაილსი-5, 7:5 რისონერი-10.

**მონრეალი-ბოსტონი 3:2 (ბ)**

2:1, 0:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 მარკოვი-15, 1:1 სავარი-15 (ბარა-33, ვიდემანი-23), 2:1 ა. კოსტიცინი-23 (მტრაიტი-42, პლეკანეცი-38), 2:2 ნოკელაინენი-7 (მ. სტიუარტი-4, ლუჩიჩი-16).

ბულიტები გაიტანეს: ს. კოივუ (მონრეალი).

**ოტავა-ტორონტო 4:5**

1:0, 3:3, 0:2

გოლები: 1:0 ალფრედსონი-38 (კომოდორი-10, სპეცა-54), 1:1 უელვუდი-8 (კუბინა-24, პონიკაროვსკი-16), 1:2 ა. სტინი-14 (პონიკაროვსკი-16, უელვუდი-12), 2:2 სტილმანი-24 (სპეცა-55, შუბერტი-14), 3:2 მ. ლაპოინტი-5 (ფიშერი-24, შუბერტი-14), 4:2 პიტლი-37 (მეზაროში-25, სტილმანი-38), 4:3 ტაკერი-17 (კუბინა-25, ტ. კაბერლე-44), 4:4 ტლუსტი-7 (მური-12), 4:5 სტაიანი-16 (ჯ. ბლეიკი-34, ტაკერი-13).

**ფლორიდა-ტამპა ბეი 4:2**

1:0, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 ბოუმისტერი-13, 1:1 ლასარი-1 (დერჩი-14, კუბა-23), 2:1 ჰორტონი-24 (ბუტი-16, ვეისი-29), 3:1 ო. იოკინენი-33 (მაკლინი-20, მ. იოჰანსონი-12), 4:1 ჰორტონი-25 (ბოუმისტერი-21, კალიმორი-10), 4:2 დერჩი-6 (კუბა-24, კარლსონი-2).

**კოლამბუსი-დეტროიტი 1:4**

0:2, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 ლიდსტრომი-8 (დაციუკი-58, რაფალსკი-39), 0:2 ზეტერბერგი-40 (დაციუკი-59, რაფალსკი-40), 1:2 ნეში-38 (მოდინი-6, მალორტა-17), 1:3 ფრანცენი-22 (ჩელიოსი-8, კოპეცკი-7), 1:4 დაციუკი-31.

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 7:1**

1:1, 1:0, 5:0

გოლები: 1:0 ი. რუუტუ-5 (მარიან ჰოსა-33, სიდორი-12), 1:1 ჯონტა-21 (მადენი-22), 2:1 მელოუნი-25 (დუპუი-14, ორპიკი-9), 3:1 მელოუნი-26 (გონჩარი-48, მარიან ჰოსა-34), 4:1 დუპუი-12 (მარიან ჰოსა-35, გონჩარი-49), 5:1 მალკინი-43 (ლეტანგი-11, სიკორა-34), 6:1 მალკინი-44 (სიკორა-35), 7:1 სიკორა-27 (მალკინი-58, რაიან უიტნი-26).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 სელიანე-9 (ბერტუცი-23), 1:1 ჟოვანოვსკი-12 (ვრბატა-28, დოუნი-48), 1:2 სელიანე-10 (უეიტი-15, ბერტუცი-24).

**კალგარი-მინესოტა 5:4**

0:0, 2:2, 3:2

გოლები: 1:0 ფანოფი-16, 1:1 პუიო-1 (ბუშარი-48), 1:2 პუიო-2 (ბუშარი-49, შულტცი-13), 2:2 იგინლა-46 (ფანოფი-39, ვანდერმეერი-14), 3:2 იგინლა-47 (ტანგეი-39, ა. ერიქსონი-15), 3:3 იგინლა-48 (ფანოფი-40, ა. ერიქსონი-16), 4:3 კ. იონსონი-3 (დემიტრა-32, გაბორიკი-36), 5:3 ლომბარდი-12 (იელი-9), 5:4 კ. იონსონი-4 (გაბორიკი-37, შეპარდი-15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1. მალაიზიის დიდი პრიზი

# ჩემპიონის რევანში


რაიკონენი გამარჯვებას ზეიმობს

როგორც მოსალოდნელი იყო, ავსტრალიაში განცდილი კრახის შემდეგ, მალაიზიის დიდ პრიზზე "ფერარის" სრულფასოვანი დაბრუნების მომსწრენი გავხდით - მსოფლიოს ჩემპიონმა, ფინელმა **კიმი რაიკონენმა**, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ჩემპიონატის მეორე სარბოლი უიქ ენდიც უილბლოდ დაიწყო, მაინც შეძლო გამარჯვება და ტიტულის შენარჩუნებაზე პირველი სერიოზული განაცხადი გააკეთა.

კვალიფიკაციაზევე გამოჩნდა, რომ სეზონის პირველ ეტაპზე "ფერარის" წარუმატებლობა შემთხვევითობა იყო. ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** თითქმის ნახევარი წამით მოიტოვა თანაგუნდელი რაიკონენი და თითქმის წამით - დანარჩენები. იმის ერთადერთ იმედს, რომ "ფერარის" უპირატესობა რბოლაშიც ასეთი სოლიდური არ იქნებოდა, ის ვარაუდი იძლეოდა, რომ შესაძლოა, იტალიური საჯინიბოს მანქანების ავზები მეტოქეებისაზე ნაკლებად იყო სავსე. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა.

"მაკლარენს" კი საქმე რბოლამდე გაურთულდა - სტიუარდებმა დაადგინეს, რომ კვალიფიკაციის ბოლო წამებზე, ინგლისური გუნდის ორივე პილოტმა ტრასაზე ნელი სვლით, ხელი **ნიკ ჰაიდფელდს** შეუშალა. ჯარიმა საკმაოდ მკაცრი გამოდგა - **ლუის ჰემილტონს** და **ჰეიკი კოვალაინენს** სტარტზე ხუთი ადგილით უკან დაწევა მოუხდათ.

სამაგიეროდ, შესანიშნავად იასპარეზა **იარნო ტრულიმ**, ვინც კვალიფიკაცია მეხუთე შედეგით დაასრულა და "მაკლარენების" დაჯარიმების შემდეგ, მეორე სასტარტო რიგში გადაინაცვლა. შესაბამისად, როგორც პელოტონში ერთ-ერთ საუკეთესო სტარტიორს, რბოლის დასაწყისში თავის გამოჩენის რეალური შანსი გაუჩნდა.

მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, ტრულიმ მწვანე შუქნიშანზე რეაგირება დააგვიანა და ძლივს აარიდა თავი ჰაიდფელდის მანქანას. ამასობაში, ორივემ პოზიციები დაკარგა. სამაგიეროდ, შესანიშნავი სტარტი აიღეს ლიდერებმა - ორივე "ფერარი" პირველ მოსახვევში თითქმის ერთდროულად შევიდა, რაიკონენს კი, შეჯახების თავიდან ასაცილებლად, დათმობა მოუხდა. სტარტზევე ოთხი ადგილით წინ წაიწია ჰემილტონმა, ორი ადგილი კი **მარკ უებერმა** მოიგო. ჰაიდფელდმა მეათე პოზიციაზე გადაინაცვლა, მაგრამ მესამე წრეზე, ერთ-ერთი მოსახვევის წინ, ერთმანეთთან ბრძოლაში გართულ **დევიდ კულტჰარდს** და **ფერნანდო ალონსოს** ერთად ისე აუარა გვერდი, ამის ნახვა ერთ რამედ ღირდა.

სამაგიეროდ, ჰემილტონმა წინსვლა შეაჩერა - ის ვერანაირად ახერხებდა უებერისთვის გვერდის ავლაც, თუმცა რეალურად, ეს არც უცდია. ჰოდა, არცთუ სწრაფი ბოლიდის უკან ჩარჩენილი, ყოველ წრეზე დაწინაურებულებთან წამზე მეტს აგებდა. პირველ პიტ სტოპზე ჰემილტონი ათი წამით ზედმეტად შეაყოვნეს - მექანიკოსებს მისი ბოლიდის წინა მარჯვენა ბორბლის გამოცვლა გაუჭიანურდათ.

"ფერარის" პილოტებმა კი პირველ პიტ სტოპზე ადგილები გაცვალეს. ბოქსში პირველი მასა შევიდა, მის არყოფნაში კი რაიკონენს ერთი წრეც ეყო იმისთვის, რომ თავისუფალი სივრცით ესარგებლა. ამ ერთ წრეზე მან საკმარისი ჰანდიკაპი იმისთვის შეიქმნა, რომ ტრასაზე დაბრუნებული, თანაგუნდელზე წინ აღმოჩენილიყო. ასეც მოხდა, ჩემპიონი დაწინაურდა და ფინიშამდე ახლოსაც არავინ გაიკარა. მასამ 30-ე წრეზე შეცდომა დაუშვა და ტრასის მიღმა, ხრეშის დამცავ ზოლში ჩარჩა. ჰემილტონმა კი, მეორე პიტ სტოპის შემდეგ მაინც შეძლო უებერის ჩამოტოვება, თუმცა ტრულისა და კოვალაინენის დაწევა აღარ გამოუვიდა და საბოლოოდ, ფინიშთან მეხუთემ მიაღწია.

გამარჯვებულთან 19-წამიანი ჩამორჩენით, ფინიშს მეორემ უწია **რობერტ კუბიცამ**, ვისთვისაც ეს კარიერაში საუკეთესო შედეგია. კვარცხლბეკის ყველაზე დაბალი საფეხური კი კოვალაინენს ერგო, რომელმაც თავისი კარიერის მიღწევა გაიმეორა.

*"ვაღიარებ, რომ ძალიან იოლი გამარჯვება მოვიპოვე. განსაკუთრებით კი პირველი პიტ სტოპის შემდეგ არ გამჭირვებია. ავსტრალიაში განცდილი ფიასკოს შემდეგ, ეს გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა. ყველამ და ყველაფერმა შესანიშნავად იმუშავა. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის სეზონი აქ დაიწყო. რაც მთავარია, მანქანის მუშაობა იმის იმედს მაძლევს, რომ ჩვენ დომინირებას მომდევნო ეტაპებზეც გავაგრძელებთ"*, - ნარბოლევს განაცხადა რაიკონენმა, ვინც ორი ეტაპის შემდეგ, პირად ჩათვლაში მეორე ადგილზეა და ლიდერ ჰემილტონს სამი ქულით ჩამორჩება.

ჩემპიონატის მომდევნო ეტაპს სამი კვირის შემდეგ ბაჰრეინი უმასპინძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




### სეპანგი

(კუალა ლუმპური, მალაიზია).
მეორე ეტაპი
**310.408 კმ (5.543 კმ, 56 წრე)**

1. კიმი რაიკონენი (ფინ, ფერარი) 1:31:18.555; 2. რობერტ კუბიცა (პოლ, BMW ზაუბერი) +0:19.570; 3. ჰეიკი კოვალაინენი (ფინ, მაკლარენი) 0:38.450; 4. იარნო ტრული (იტა, ტოიოტა) 0:45.832; 5. ლუის ჰემილტონი (ბრიტ, მაკლარენი) 0:46.548; 6. ნიკ ჰაიდფელდი (გერ, BMW ზაუბერი) 0:49.833; 7. მარკ უებერი (ავსტრალ, რედ ბული) 01:08.130; 8. ფერნანდო ალონსო (ესპ, რენო) 01:10.041; 9. დევიდ კულტჰარდი (ბრიტ, რედ ბული) 01:16.220; 10. ჯენსონ ბატონი (ბრიტ, ჰონდა) 01:26.214; 11. ნელსონ პიკე (ბრაზ, რენო) 01:32.202; 12. ჯანკარლო ფიზიკელა (იტა, ფორს ინდია) 1 წრე; 13. რუბენს ბარიკელო (ბრაზ, ჰონდა) 1 წრე; 14. ნიკო როსბერგი (გერ, უილიამსი) 1 წრე; 15. ენტონი დევიდსონი (ბრიტ, სუპერ აგური) 1 წრე; 16. ტაკუმა სატო (იაპ, სუპერ აგური) 2 წრე; 17. კაძუკი ნაკაძიმა (იაპ, უილიამსი) 2 წრე; გ. სებასტიან ფეტელი (გერ, ტორო როსო) 17 წრე; გ. ფელიპე მასა (ბრაზ, ფერარი) 26 წრე; გ. ადრიან სუტილი (გერ, ფორს ინდია) 51 წრე; გ. ტიმო გლოკი (გერ, ტოიოტა) 55 წრე; გ. სებასტიან ბურდე (საფრ, ტორო როსო) 56 წრე

შენიშვნა: გ-გამოეთიშა

უსწრაფესი წრე: ნიკ ჰაიდფელდი 1:35.366, 55-ე წრე

### პირადი კლასიფიკაცია

1. ჰემილტონი 14; 2. რაიკონენი 11; 3. ჰაიდფელდი 11; 4. კოვალაინენი 10; 5. კუბიცა 8; 6. როსბერგი 6; 7. ალონსო 6; 8. ტრული 5; 9. ნაკაძიმა 3; 10. ბურდე 2; 11. უებერი 2

### კონსტრუქტორთა კლასიფიკაცია

1. მაკლარენი 24; 2. BMW ზაუბერი 19; 3. ფერარი 11; 4. უილიამსი 9; 5. რენო 6; 6. ტოიოტა 5; 7. რედ ბული 2; 8. ტორო როსო 2

| | ავს | მალ | ბაჰ 06.04 | ესპ 27.04 | თურ 11.05 | მონ 25.05 | კან 08.06 | საფ 22.06 | ბრი 06.07 | გერ 20.07 | უნგ 03.08 | ევრ 24.08 | ბელ 07.09 | იტა 14.09 | სინ 28.09 | იაპ 12.10 | ჩინ 19.10 | ბრა 02.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 10 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 14 |
| **რაიკონენი** (ფერარი) | 1 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 11 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | 8 | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 11 |
| **კოვალაინენი** (მაკლარენი) | 4 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 10 |
| **კუბიცა** (BMW-ზაუბერი) | -- | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **როსბერგი** (უილიამსი) | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ალონსო** (რენო) | 5 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ტრული** (ტოიოტა) | -- | 5 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| **ნაკაძიმა** (უილიამსი) | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |
| **უებერი** (რედ ბული) | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |
| **ბურდე** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **კულტჰარდი** (რედ ბული) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **ბარიკელო** (ჰონდა) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **ფიზიკელა** (ფორს ინდია) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **ბატონი** (ჰონდა) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **სატო** (სუპერ აგური) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **ფეტელი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **გლოკი** (ტოიოტა) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **დევიდსონი** (სუპერ აგური) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| **პიკე** (რენო) | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |